პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 30 (12238) | კვირა, 4 თებერვალი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპოზიტორთა III ყრილობაზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან საქართველოს კომპოზიტორთა მესამე ყრილობის დელეგატებს და მათი სახით ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალური ხელოვნების ყველა მოღვაწეს.

საქართველოს კომპოზიტორთა მესამე ყრილობა მიმდინარეობს მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, ხალხისა, რომელიც ახორციელებს სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახულ კომუნიზმის მშენებლობის დიდებულ პროგრამას.

ახლა, კომუნიზმისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლის დღეებში, უფრო, ვიდრე ოდესმე, ამაღლდა საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეთა, მათ შორის კომპოზიტორთა როლი ახალი საზოგადოების მშენებლობა კომუნისტური შეგნებულობისა და ესთეტიკური აღზრდის ჩამოყალიბებაში.

დიდი ლენინის პარტიის XXII ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოციალისტური კულტურის განვითარების ამოცანებს, დასახა საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი ზრდის გენერალური ხაზი, რომელთა ძირითადი მიზანი და დანიშნულებაა სამშობლოს, ხალხის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების სამსახური.

უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპოზიტორებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მაღალმხატვრული და მაღალიდეური ნაწარმოებების შექმნაში, რომლებიც ასახავენ ჩვენი სინამდვილის დიად საქმეებს; ქართველი კომპოზიტორების ახალმა ოპერებმა, ბალეტებმა, სიმფონიურმა და სხვა მუსიკალურმა ნაწარმოებებმა ხალხის ფართო აღიარება დაიმსახურეს.

ქართული საბჭოთა მუსიკის განვითარებაში [illegible] მოღვაწეები, არამედ სერიოზული ნაკლოვანებანიც. საქართველოს კომპოზიტორთა მესამე ყრილობა მოწოდებულია დასახოს ქართული მუსიკალური კულტურის შემდგომი განვითარების კონკრეტული გზები, მთელ [illegible] ნაკლოვანებანი და მიიღოს ღონისძიებანი [illegible].

საქართველოს კომპოზიტორთა მთავარი ამოცანა ის არის, რომ სოციალისტური რეალიზმის ცხოველმყოფელ საფუძველზე, სინამდვილის ახასხვის ახალი ფორმების დაუცხრომელი ძიებით, ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოვლენებით, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ შემოქმედებითი ძალის სრულ შესაფერი მუსიკალური ნაწარმოებები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დიდ წარმატებებს უსურვებენ საქართველოს კომპოზიტორთა მესამე ყრილობის მუშაობას და გამოთქვამენ რწმენას, რომ საქართველოს კომპოზიტორები კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებენ სკკპ XXII ყრილობის დიდებულ წინასწარდასახულებათა განხორციელებისათვის და შექმნიან საბჭოთა ხალხის, კომუნიზმის ძლევამოსილი მშენებლის შესაფერ ნაწარმოებებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

კომკავშირის ძლიერების წყარო

სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში, პარტიის ახალ პროგრამაში უდიდესი სიზუსტით განსაზღვრულია ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო ტემპებით განვითარების გეგმა, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის კონკრეტული გზები.

კომუნიზმი შეგვიძლია ავაშენოთ შრომით, შრომით და მხოლოდ მილიონთა შრომით. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ეს სიტყვები საბჭოთა ახალგაზრდობამ მიიღო როგორც თავისი ღვიძლი საქმე, როგორც მისი ფიქრებისა და განწყობილების უბადლო გამოხატულება. მილიონობით ჭაბუკებსა და ქალიშვილებს კარგად ესმით, რომ მხოლოდ შემოქმედებითი შრომით შეიძლება განხორციელდეს ხალხთა ბედნიერების პროგრამა. იყენენ კომუნიზმის მშენებლობის წინა ხაზზე — სწორედ ამაში ხედავენ და პოულობენ ისინი თავიანთ მოწოდებას და ცხოვრების იდეალს.

პარტიის XXII ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სკკპ პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში თავისი პატრიოტული წვლილი შეაქვს საქართველოს ახალგაზრდობას, მის მოწინავე რაზმს — 365-ათასიან კომკავშირს.

ამ დღეებში მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობამ, რომელმაც ანალიზი გაუკეთა ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის მიერ გაწეულ საქმიანობას და დასახა კონკრეტული ამოცანები სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ახალგაზრდობის დასარაზმავად.

ყრილობის ტრიბუნიდან კანონიერი სიამაყით ისმოდა კომკავშირელი დელეგატების მრავლისმთქმელი სიტყვები.

ვინ დათვლის კომუნისტური შრომის ბრიგადებსა და დამკვრელებს, წარმოების ახალგაზრდა ნოვატორებს, მოწინავე მესიმინდეებს, მეჩაიეებს, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მომუშავე წარჩინებულ კომკავშირელებს! აი რამდენიმე მათგანიც: მშენებელი თამაზ ვაშაძე, მქსოველთა ბრიგადირი აპოლონ ჩიქოვანი, ჩაის მკრეფავები ნაირა გოგატაძე, იზოლდა წოწორავა...

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებაში აქტიური როლს ასრულებენ რესპუბლიკის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები. ათასობით კომკავშირელი აგიტატორი საწარმოებსა თუ კოლმეურნეობებში, ახალშენებლობებზე თუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შინაარსიან საგაგებო მუშაობას ეწევა ამომრჩეველთა შორის. ბევრია კომკავშირის წარგზავნილი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებშიც.

ამ დღეებში მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე ჩვენი ქვეყნის სხვა წარჩინებულ ადამიანებთან ერთად საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად ასახელებენ საქართველოს კომკავშირის აღზრდილებსაც.

ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები ბევრი, ძალიან ბევრი სასარგებლო საქმის ინიციატორები არიან. დედაქალაქის ფოლად-თუჯსამსხმელო, პლასტმასის, „ელექტროგამშვების", ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო და სხვა ქარხნების კომკავშირელებმა მოაწყეს ლაშქრობა საწარმოთა რიტმული მუშაობის მისაღწევად.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ წავიდა რამდენიმე ათასი ახალგაზრდა. დიდ შემოქმედებითს წარმატებებს აღწევენ მეცნიერების, კულტურისა და ლიტერატურის მუშაკები. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

რა არის ამ წარმატებათა წყარო?

როგორც ეს ყრილობაზეც აღინიშნა, კომკავშირის ძალისა და ძლიერების წყარო პარტიული ხელმძღვანელობაა. რესპუბლიკის ქალაქებიდან და სოფლებიდან მოდის სახიხარულო ცნობები იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობის, კომკავშირის ბევრ სასარგებლო ინიციატივას, წამოწყებას დიეკიდებიან პირველადი მზრუნველობით პარტიული ორგანიზაციები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები.

თუ მახარაძელმა, ზუგდიდელმა, ქობულეთელმა და კიდევ ზოგიერთი სხვა რაიონების ახალგაზრდებმა შრომაში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს, ამაში უდავოდ დიდია ამ რაიონების პარტიული ორგანიზაციების დამსახურებაც. გორის რაიონის სოფელ ფლავის, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის, მახარაძის რაიონის სოფელ ბახვის კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად არიან კომკავშირელთა საქმიანობის კურსში, გაბედულად უჭერენ მხარს ყოველ ახალ, სასარგებლო წამოწყებას, პარტბიუროს წევრები ხშირად ესწრებიან კომკავშირულ კრებებს და ეხმარებიან მათ საკითხების სწორად გადაწყვეტაში, ამავე დროს პრაქტიკაში შემოღებული აქვთ ღია პარტიული კრებების ჩატარება კომკავშირელთა ფართო აქტივის მონაწილეობით.

მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე გვაქვს?

ზოგჯერ კომკავშირული ორგანიზაციების ძალიან კარგი წამოწყება, ინიციატივა ფრთებს ვერ ისხამს ან სულ მოკლე დროში დავიწყებას ეძლევა.

რატომ ხდება ასე?

როგორც საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობაზე ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა უ. ვარშანიძემ განაცხადა, მათი მეცხოველეობის ფერმა იბრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივის სამატიო სახელისათვის, მაგრამ ფერმაში ხშირად არ არის კომბინირებული საკვები, რაც დიდ გავლენას ახდენს წველადობაზე. — თუმცა ფერმა მექანიზებულია, — ამბობს იგი, — მაგრამ საწველი აპარატი ათი წელია უმოქმედოდ დგას.

ზოგჯერ კი ასეც ხდება: რომელიმე კომკავშირულ ორგანიზაციას თავის კრებაზე ან ბიუროს სხდომაზე გამოაქვს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ და დახმარებისათვის მიმართავს პარტიულ ორგანიზაციას. მაგრამ გადის თვეები, წლები და თხოვნა უყურადღებოდ რჩება. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ხშირად მსჯელობს კრებებზე ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ, აკრიტიკებს კომკავშირულ ორგანიზაციას და მთელ საქმესაც ამით ამოსწურავს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არაერთხელ მიუთითა პარტიულ ორგანიზაციებს გაეაუმჯობესონ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი. საქმის თავი და თავი ის კი არ არის, თუ რამდენჯერ განიხილა ამა თუ იმ პარტიულმა ორგანიზაციამ კომკავშირული ცხოვრების საკითხები. მთავარია ის, თუ როგორია ფაქტიური მდგომარეობა, როგორია ამა თუ იმ საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში კომკავშირული მუშაობის დონე. საჭიროა კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საქმეში დროულად აღიკვეთოს ფორმალიზმი, ზერელე დამოკიდებულება.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური, გადაუდებელი საქმეა ოპერატიული, შემოქმედებითი ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი. ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით ჩაბმულია სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, საჭიროა უფრო მეტად გაიფურჩქნოს ჩვენი ახალგაზრდობის ნიჭი და მჭეფარე ენერგია. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირის ძლიერების წყაროა.

დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ ღირსეულთ

ხალხის რჩეულნი — საბჭოთა პარლამენტში

ქართველ მეცნიერთა კანდიდატი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა და წევრ-კორესპონდენტებმა, მეცნიერმუშაკებმა, მოსამსახურეებმა სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს

გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი

დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში გაიმართა 3 თებერვალს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების, მეცნიერი მუშაკების, მოსამსახურეების წინასაარჩევნო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ი. დოლიძემ.

იგი სიტყვას აძლევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ლენინური პრემიის ლაურეატს გ. მელიქიშვილს.

— ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არჩევნები, — ამბობს ორატორი, — ყოველთვის დიდი მოვლენაა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ახლა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მიმდინარეობს წინასაარჩევნო კრებები. თავიანთ კანდიდატებად მშრომელები ასახელებენ საუკეთესო ადამიანებს — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, მეცნიერების მოღვაწეებს.

ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გივი დიმიტრის ძე ჯავახიშვილს, რომელიც ბევრ რამეს აკეთებს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. წინადადება შემომაქვს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივის სახელით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის — კალინინის საარჩევნო ოლქში დავასახელოთ **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი.**

აჰა. გ. დ. ჯავახიშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების გამგემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა თ. შარაძენიძემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ი. ბუკრეევმა, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის დირექტორმა შ. შენგელაიამ.

ყველა ორატორმა ამხ. გ. დ. ჯავახიშვილი დაახასიათა როგორც ენერგიული მუშაკი, კარგი ორგანიზატორი, რომელიც მთელ თავის ძალასა და ცოდნას ახმარს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმეს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს კანდიდატად თბილისის — კალინინის საარჩევნო ოლქში დასახელოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი.** (საქდესი).

მაღალი ნდობა

თბილისის კერამიკის კომბინატის კოლექტივმა სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

ვიქტორ ვასილის-ძე გრიშინი და ვასილ ანტონის-ძე ლუკიანოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი კრება გაიმართა 3 თებერვალს თბილისის კერამიკის კომბინატში.

კრება გახსნა პროფკავშირის საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარემ ა. სისაურმა:

კრებაზე გამოვიდა საწარმოს დირექტორი ვ. ურუშაძე. მან თქვა:

— ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებით მშრომელები ერთხელ კიდევ ცხადყოფენ მჭიდრო შეკავშირებას კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელსაც მივყავართ ნათელი მომავლის გზით. კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა სახელით შემომაქვს წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის 26 კომისრის სახელობის საარჩევნო ოლქში დასახელონ მოწინავე ზეიხალი, ბევრი ძვირფასი წამოწყების ინიციატორი **ვასილ ანტონის ძე ლუკიანოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ორივე კანდიდატურას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ჩამომსხმელმა ლ. შევჩენკომ, გამომწვალმა ა. მალაციძემ, კერამიკის კომბინატის დაცვის უფროსმა გ. ჩიქობავამ, რომლებმაც გამოთქვეს რწმენა, რომ დასახელებული კანდიდატები გაამართლებენ ხალხის მაღალ ნდობას.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში კრებამ დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის 26 კომისრის სახელობის საარჩევნო ოლქში დაასახელოს **ვიქტორ ვასილის ძე გრიშინი** და **ვასილ ანტონის ძე ლუკიანოვი.**

ვ. ვ. გრიშინი და ვ. ა. ლუკიანოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელეს აგრეთვე თბილისის სხვა საწარმოებმა. (საქდესი).

ეს გოგონა მოწინავე კომკავშირელი აგიტატორი ზაირა მედულაშვილია. მას ხშირად ნახავთ ოქტომბრის რაიონის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლაში მოწყობილ № 2 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში, სადაც მორიგი საუბრისათვის ემზადება, ხოლო შემდეგ ახალი მასალებით საუბრის ჩასატარებლად მიემართება.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მთელი გულით

გათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი

გათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საკატო დარბაზში შეიკრიბნენ ამ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორები, მასწავლებლები და სტუდენტები. ისინი მოვიდნენ აქ წინასაარჩევნო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებას.

ინსტიტუტის პრორექტორმა ა. ბერიძემ, რომელიც პირველი გამოვიდა, შეიტანა წინადადება უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი.**

ტრიბუნაზე ზეიდიზედ ადიან ინსტიტუტის ლექტორი დოცენტი ვ. ქემხაძე, ფიზიკის კათედრის გამგე დოცენტი ხ. ბალვაში, მასწავლებელი ვ. ჯანტურია და სხვები. ყველანი ისინი მხარს უჭერენ ამხ. ნ. ი. მუსხელიშვილის კანდიდატურას.

კრების მონაწილეებმა ერთხმად გადაწყვიტეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის საარჩევნო ოლქში დაასახელონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი.**

საქართველოს კომპოზიტორთა III ყრილობა

ექვს დღეს სრულდებოდა თბილისის საკონცერტო დარბაზებში ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, რომლებიც მოსასმენად წარუდგინეს კომპოზიტორთა მესამე ყრილობის მონაწილეებს.

3 თებერვალს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში მუშაობას განაგრძობდა საქართველოს კომპოზიტორთა III ყრილობა.

ირჩევენ საქმიან პრეზიდიუმს, სამდივნოსა და კომისიას ყრილობის რეზოლუციის შესამუშავებლად. მტკიცდება ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის ანგარიში.

2. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სარევიზიო კომისიის ანგარიში.

3. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და სსრ კავშირის კომპოზიტორთა III ყრილობის დელეგატების არჩევნები.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დ. გ. სტურუა,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ა. ავაქაძე,** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **თ. პ. ბუაჩიძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **მ. ა. გოგიჩაიშვილი.**

სიტყვა ეძლევა **მ. ა. გოგიჩაიშვილს.** იგი აქვეყნებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმებას რესპუბლიკის კომპოზიტორთა III ყრილობისადმი.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება გააკეთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა **ა. ბალანჩივაძემ.**

თანამოხსენება „ქართული საბჭოთა მუსიკალური შემოქმედებისა და ეროვნული მუსიკალური თეატრის განვითარების გზების ზოგიერთი საკითხი" გააკეთა მუსიკისმცოდნემ **ა. წულუკიძემ.**

ტრიბუნაზე მუსიკოსმცოდნე **ვ. პაალმა** (ტალინი). ესტონეთის მუსიკალური ხელოვნების მოღვაწეთა სახელით იგი მხურვალედ მიესალმა დელეგატებს.

ლიტველ კომპოზიტორთა სახელით ყრილობას მიესალმა კომპოზიტორი **ვ. კლოვა.**

შემდეგ დაიწყო მოხსენებისა და თანამოხსენების განხილვა. პირველი კამათში გამოვიდა კომპოზიტორი **ა. შავერზაშვილი.**

3 თებერვალს საღამოს თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა სიმფონიური მუსიკის კონცერტი. შესრულდა ო. გორდელის ვოკალურ-სიმფონიური პოემა „რაზე ბუტბუტებს მტკვარი", ნ. გუდიაშვილის სურათები ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის „ჩემი სამშობლოს ველებზე", მ. დავითაშვილის ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, დ. შვედოვის კანტატა — სიმღერა „საუკუნის დიადი საქმეებისათვის".

ოქვრას, 4 თებერვალს, რკინიგზელთა სახლის სცენაზე ნაჩვენები იქნება შ. მილორავას ოპერეტა „მხოლოდ შენ ერთს".

5 თებერვალს საქართველოს კომპოზიტორთა III ყრილობა განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვის დეპეშა ცეილონის პრემიერ-მინისტრს ს. ბანდარანაიკეს

მოსკოვი, 3 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ცეილონის ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო მასასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ცეილონის პრემიერ-მინისტრს სირიმავო რ. დ. ბანდარანაიკეს.

ცეილონისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და ურთიერთგაგების ურთიერთობა, ნათქვამია დეპეშაში, საბჭოთა ადამიანებში იწვევს კმაყოფილების გრძნობას და აძლიერებს მათ სიმპათიებს შრომისმოყვარე ცეილონელი ხალხისადმი, რომელიც მიდის თავისი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეკონომიკის განმტკიცების გზით.

გიზენგას დამცველის განცხადება



პრაღა, 3 თებერვალი. (საკდესი). „არსებული ცნობებით, ანტუან გიზენგას ბრალად დასდებენ გამთიშველ საქმიანობას, ღალატსა და სტენლივილში სამხედრო ნაწილების ამბოხებისათვის წაქეზებაში ბრალად დადება სავსებით დაუსაბუთებელია, რადგან ეს ჯარები ემორჩილებოდნენ არა გიზენგას, არამედ, გენერალ ლუნდულას.

„ჩვენ, თქვა შემდეგ ფაჰიმმა, — ჩვენი შიში განვუცხადეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ჩვენი დასაცავი პირის შემდგომი ბედის გამო და ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას კონგოს მთავრობასთან ერთად პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება გიზენგას უსაფრთხოებისათვის, და რომ იგი წინასწარი წესით დაპატიმრეს მათი საერთო გადწყვეტილებით. ჩვენი შეშფოთება მით უფრო დასაბუთებულია, რომ გიზენგას იცავენ მობუტუს პარაშუტისტები, და არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები".

ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რა ღონისძიებანი განხორციელდება გიზენგას დასაცავად, ფაჰიმმა უპასუხა, რომ იგი აპირებს დაიჭიროს თავისი გამგზავრება კონგოში, რათა საჭირო იურიდიული დახმარება გაუწიოს და დაიცვას უკანონოდ დაპატიმრებული ა. გიზენგა.

დამსახურებისამებრ

ბერლინი, 3 თებერვალი. (საკდესი). დრეზდენის საოლქო სასამართლომ ბაუტცენში სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა გოდფრიდ შტრიმპეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის — მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დივერსიებისა და ტერორისტული აქტების ჩადენისათვის. დამნაშავე ცეცხლს უკიდებდა შენობებსა და საცხოვრებელ სახლებს, ზიანს აყენებდა ამ ქვეყნის სახალხო მეურნეობას. სასამართლო პროცესზე შტრიმპემ აღიარა, რომ ეს დანაშაული მან ჩაიდინა ამერიკის ბერლინის რადიოსადგურის წამქეზებლური პროპაგანდის გავლენით.

ამერიკის პრესა პუნტა-დელ-ესტეს თათბირის შედეგს აფასებს, როგორც ლათინურ ამერიკაში შეერთებული შტატების პრესტიჟის სასტიკად შელახვას.

გაზეთებიდან.





ძია სემის სახიფათო გასროლა.

ნახ. გ. ლომაძისა.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და ლ. ი. ბრეჟნევის დეპეშა რუმინეთის სახელმწიფო მოღვაწეებისადმი

მოსკოვი, 3 თებერვალი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის 14 წლისთავთან დაკავშირებით მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს გეორგე გეორგიუ-დეჟს და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს იონ გეორგე მაურერს.

დამთავრდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა სრულიად საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 2 თებერვალი. (საკდესი). საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარების, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პრობლემები — ასეთია მთავარი შინაარსი უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა სრულიად საკავშირო თათბირისა, რომელმაც დღეს დაამთავრა მუშაობა კრემლში.

საბოლოო პლენარული სხდომა დაიწყო მოხსენებით კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის შესახებ. მოხსენება წაიკითხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ა. ვ. კორობოვმა.**

დიდი ყურადღებით მოისმინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **მ. ა. სუსლოვის** საბოლოო სიტყვა.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

ასე ყალიბდება, იწრთობა კომუნისტური ხასიათი

მომავლის ყლორტები

თვალმარგალიტი — შეიძლება ასე ეწოდოს ლაგოდეხის რაიონს. მდინარე ალაზნის ატეხილი ჭალებიდან და ჭიაურის ტყიდან დაწყებული კავკასიონის ბუმბერაზი მთების ძირამდე გადაჭიმულია მისი უხვმოსავლიანი მინდერები. ბუნებას მისთვის ჩრდილოეთით უმშვენიერესი და მომხიბლავი გვირგვინის ჯიღა — ნაკრძალი დაუდგამს თავზე. ნაკრძალი ლაგოდეხის მშვენებაა. ტყე გაბრიელეულია საუკუნოვანი წიფლებით, მუხებით, რცხილებით, იფნებითა და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვა ჯიშის ხეებით. მისი ფერდობები ათასეულოვანი ვაღ-ყვავილებით იმოსება. ბუნების ამ საბრძანებელში ლაღად ნავარდობენ ირემები და შვლები, დაფრინავენ ხოხბები და კაკბები, გნოლები და ქედნები, ვარდის ფეიერლობის დროს სმენას ატკბობს ბულბულების მომჯადოებელი გალობა.

ბუნების ამ ლაღ სამყაროში თვალს სჭრის მაღალი ციცაბოებიდან გადმოქუხარე ჩანჩქერებში არეკლილი ცისარტყელების ნაირფერი შუქი, ხოლო თოვლიან ჭიუხებზე ბუნებაში შეზრდილ ხელოვნქმნელ ქანდაკებებს ჰგვანან ლამაზი ჯიხვები. დგანან ჯიხვები და მაღალი მწვერვალებიდან გადმოყურებენ ქვეყნიერებას, თითქოს ისინი იყვნენ ბუნების მეუფენი.

ყოველ ჩვენგანს რაღაც ახარებს... ყოველ ჩვენგანს საკუთარი ფიქრი და მიზანი აქვს. ეს ფიქრები დაკავშირებულია საერთო ამოცანასთან, რაც შეიძლება მეტი გაკეთოთ, მეტი შექმნას ხალხისათვის, ჩვენი სამშობლოს მომავლისათვის.

ლაგოდეხელებსაც ბევრი აქვთ სასიხარულო და საზრუნავი. ახარებთ ის, რომ შარშან სძლიეს უამინდობას, გვალვას. აიძულეს მიწა — ბარაქიანი მოსავალი მოეცა.

ამბობენ, ციფრების ენით საუბარი მოსაწყენიაო. მაგრამ ყოველთვის როდი ღლის სმენას ციფრები. არის ციფრები, რომლებიც სმენას ატკბობს და გულს ახარებს.

შვიდწლედის მესამე წელს ლაგოდეხის რაიონის მშრომელებმა უკვე მიაყიდეს სახელმწიფოს 3.600 ტონაზე მეტი თამბაქო, რაც 50 ტონით მეტია გეგმასთან შედარებით. დამზადება გრძელდება...

— ჩვენი რაიონი გეგმის გადამეტებით 100 ტონა თამბაქოს მისცემს სამშობლოს, — ამბობენ აქაური კომუნისტები. მარტო თამბაქოდან მიღებული შემოსავალი ხუთ მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

ეს დღეები სხვა საგულისხმო წარმატებითაც აღინიშნეს ლაგოდეხელებმა სახელმწიფოს უპატაკეს ეთერზეთოვანი კულტურების მოსავლის გეგმის გადაჭარბებით შესრულება. წარმოება ჩაბარეს 2.573 ტონა ვარდი, რეჰანი და გერანი, ანუ 305 ტონით მეტი გეგმასთან შედარებით.

ლაგოდეხელებს გეგმით 160 ტონა აბრეშუმის პარკი უნდა მიეცათ ქვეყნისათვის. მაგრამ განა შეიძლება, რომ გეგმას დასჯერებოდნენ? აკი არც დასჯერდნენ. ნაგარაუდევს თითქმის შვიდი ტონით გადააჭარბეს. ლაგოდეხელებმა შარშან იმაზე მეტი პარკი დაამზადეს, რაც 1965 წლისთვის იყო გათვალისწინებული.

როგორ შეასრულეს გეგმა მესამინდეებმა?

არც ამ დარგში შეურცხვენიათ თავი. შვიდწლედის მესამე წელს წინა წელთან შედარებით რაიონის კოლმეურნეობებში 1.500 ჰექტარით გაადიდეს სიმინდის ნათესები. ციდი ამინდის მიუხედავად საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 35 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა კი უფრო მეტიც მოიკუფინეს. გადაჭარბებით შეასრულეს თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის გეგმაც. განაღდებული საბელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის უკვლა ვალდებულება. ასეთია მოკლედ ლაგოდეხელების ძირითად წარმატებათა გამომხატველი ციფრების მუსიკა...

ჭეშმარიტი იდეა ეუფლება გონებას

როცა სოფელ ორჯონიკიძის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ჭაბუკმა კოლმეურნემ დავით მაისურაძემ პარტიის პროგრამა წაიკითხა, გადაწყვიტა: „მე კომუნისტურ პარტიაში უნდა შევიდე". რატომ დაებადა ასეთი აზრი მას?

მის გონებას ჭეშმარიტი იდეა დაეუფლა. გზა გაუნათა... კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის ზნეობრივმა პრინციპებმა გამიმარჯვეს მასში: კარგად დაინახა ადამიანის უკეთილშობილესი დანიშნულება: „ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა; პატიოსნება და სიმართლე, ზნეობრივი სიწმინდე, უბრალოება

მათ უკვე გაიცნეს ერთმანეთი. ერთი სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობის წევრი, ახალგაზრდა კომუნისტი დავით მაისურაძეა, ხოლო მარჯვნივ — სოფელ შრომის კოლმეურნეობის „ახალი ვარსკვლავი", ბრიგადირი შალვა სიფრაშვილი.

* * *

და თავმდაბლობა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში; ურთიერთპატივისცემა ოჯახში, ზრუნვა ბავშვების აღზრდისათვის; შეურიგებლობა უსამართლობისადმი, მეძუთახორობისადმი, უპატიოსნობისადმი, კარიერიზმისადმი, მომხვეჭელობისადმი"...

იმაზე მაღალი და უფმინდესი მისწრაფება რაღა უნდა იყოს, რომ ადამიანმა აშენოს კომუნიზმი? — თავისთვის ლაპარაკობდა დავით მაისურაძე, უკვე პარტიულ კრებაზე მიმავალი.

კრებაც დაიწყო.

ბევრ კრებას დასწრებია დავითი სოშუალო სკოლაში სწავლისას, კოლმეურნეობაშიც, მაგრამ ისეთი მღელვარება არასოდეს არ გაუნეცდია, როგორც მაშინ, როცა პარტიაში მისი მიღების საკითხს განიხილავდნენ. იგი ფეხზე იდგა. ლაპარაკობდნენ კოლმეურნეები. კარგად ახასიათებდნენ. ხსოვნაში ბუნდად ჩარჩა ერთ-ერთი ამხანაგის, მგონი ბრიგადირის სიტყვა:

— დავითი ჩვენი სოფლის მკვიდრია. აქ გაიზარდა, მშრომელი კაცის ოჯახიდან არის გამოსული. საშუალო სკოლიდან თავის ამხანაგებთან ერთად პირდაპირ ჩვენთან მოვიდა სამუშაოდ. პატიოსანი და ყოჩაღია. შარშან ორმაგად შეასრულა სამინდოსა და თამბაქოს მოსავლიანობის დარგში ნაკისრი ვალდებულებანი. არც სწავლას ივიწყებს, — დაუსწრებლად ეუფლება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას.

დავით მაისურაძე პარტიის რიგებში მიიღეს.

ჭეშმარიტი იდეა ეუფლება ადამიანთა გონებას. კომუნიზმის მშენებლის მორალური პრინციპები იმარჯვებენ.

სოფლის ახალი ვარსკვლავი

ოცნების გარეშე ადამიანის შრომა და ცხოვრება წარმოუდგენელია. რა გაკეთე ან რას აკეთებ შენი სოფლისათვის, შენი ოჯახისათვის, შენი სამშობლოსათვის? აი კითხვები, რომელიც თავისთავად იბადებიან ადამიანის გონებაში.

ასეთი ოცნებით ცხოვრობს და მუშაობს სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" ახალგაზრდა კომუნისტი შალვა სიფრაშვილი. ამ ჭაბუკ კოლმეურნეზე ჯერ არაფერი თქმულა და დაწერილა. ასეთნი ცოტანი როდი არიან ჩვენში. სწორედ ეს არის ჩვენი დოვლათის, ჩვენი სიუხვის შექმნის დვრიტა. ადამიანები ქმნიან წარმატებებს, აღწევენ გამარჯვებას, მაგრამ ყველას სახელი როდი სწერდება ქვეყანას. ყველას გამარჯვებაზე როდი იწერება. ასეთ კაცად ვთვლით შალვა სიფრაშვილს.

იგი ოცნებობდა სოფელში დაუძრახავი კაცის სახელზე, კაცური ადამიანის სახელზე...

დეკემბრობის ეპოქაში ვცხოვრობთ. ჩვენი დროის გმირები მიწასთან ჭიდილში იხვეჭენ სახელსა და დიდებას. ასეთი გზით მიაღწია თავისი ოცნების, თავისი ჩანაფიქრის პირველ განხორციელებას შალვამ.

რა გაკეთა მან?

თითქოს განსაკუთრებული არაფერი. ესე იგი ისეთი არაფერი, რაც ჩვენი დროის ადამიანებისათვის უცხო იყოს. მან პირობა დადო სახვეარ ჰექტარ ფართობზე მოეყვანა სიმინდის უხვი მოსავალი.

— სიტყვა, ჩემო შალვა, ქარი... იტყვი და გაქრება. საქმე შესრულდაა, — უთხრეს შინ.

— სიტყვა ქარი კი არა, ქარიშხალია, — უპასუხა შალვამ ოჯახის წევრებს.

ასე დამთავრდა შინაურული კამათი შარშან აღრე გაზაფხულზე შალვა სიფრაშვილის ოჯახში...

სიმინდში მიმავალ ჰაბუკს არ ავიწყდებოდა ოჯახში ნათქვამი მწვავე წკაპარტი, „სიტყვა ქარიაო" და ყოველთვის ცდილობდა ხალხის წინაშე ნათქვამი სიტყვა „ქარიშხალად" ექცია, ძალა მიეცა, განმტკიცებინა...

მუშაობდა უხმაუროდ... მაღლიანი მარჯვენის კვალს ტოვებდა თოხნასა და რწყვაში, აუგის თქმის საბაბს არავის აძლევდა. მგზავრის თვალსაც ახარებდა. მისი ჩალურჯებული სიმინდი და შინაური ყაციასასაც. ისიც კარგად იცოდა შალვა სიფრაშვილმა, რომ კაცმა მიზანს რომ მიაღწიოს, საჭიროა იმ საქმის შესრულების გზის ცოდნა, რომელსაც იგი ადგას. შალვამაც კარგად შეისწავლა ნათესის დამუშავებისა და ნიადაგის განოყიერების ახალი, პროგრესული მეთოდები.

შედეგი? ნახევარ ჰექტარზე ოცდაშვიდი ცენტნერის ნაცვლად ასერთი ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. პირობა თითქმის ოთხმაგად გაანაღდა. მშრომელმა კოლმეურნემ სიტყვას ქარიშხლის ძალა მისცა. მიწასთან ჭიდილში გამარჯვებული გამოვიდა.

ასე დაიბადა ახალი ვარსკვლავი სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში".

მაგრამ განა ოდესმე ყოფილა, რომ ადამიანი ერთ წერტილზე გაყინულიყოს?... უკეთესის მიღწევისთვის არ ასძგერებოდეს გული? სწორედ უკეთესი წარმატების მოლოდინშია შალვა სიფრაშვილი. მას გაზაფხული ეძახის... მიწა კვლავ იწვევს ჭიდილში.

უღელტეხილის გაღაღება

ლაგოდეხიდან აფენისაკენ მიმავალი გზატკეცილი ხან ლატანივით სწორია, ხან ვაზივით იკლაკნება. მაგრამ გზა მაინც კარგია. ასფალტზე ისარივით მიგვაფრენს „ვოლგა".

— აი ბაისუბნის უღელტეხილიც, — ამბობს მძღოლი.

აღმართი ა�. უკვე მწვერვალზე ვართ. ხელისგულივით მოჩანს თვალუწვდენ ველზე გაშლილი ლაგოდეხის რაიონის უღელტეხილის გადაღმა სოფლები აფენი, ჭაბუკიანი, არეშფერანი, ბოლქვი... მანქანა დაღმართზე ფრთხილად ჩაყყავს ნაცად მძღოლს...

მალე მდინარე კაბალზე აგებულ ახალ კაპიტალურ ხიდზე გავიქროლეთ. ამ ხიდს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ლაგოდეხის, არამედ ყვარლისა და თელავის რაიონებისთვისაც. მათი სამიმოსვლო გზა ამ ხიდზე გადის.

— კაბალმა აღიდება იცის. წინათ ბევრი ადამიანი და პირუტყვი უმსხვერპლია. გამიგონია, ამ წყალს გაუტაცნია ურემზე მჯდომი მაყრიონი. გაუტაცნია თავისი პატარძლით. დიდხანს ოცნებობდა ხალხი ხიდზე, მაგრამ ნატვრა მხოლოდ ახლა ჩვენს დროში აუსრულდა. მანქანა მიჰქრის. მშვენიერი სანახავია ვრცელ მინდერებზე საამურად გადამჯდარი ჯეჯილები და ვენახები.

— ვენახები ამ მხარეში უფრო მეტია, ვიდრე ლაგოდეხისაკენ, უღელტეხილს გადაღმა. მაგრამ ჯერჯერობით მაინც ცოტაა. წამყვანია თამბაქო, სიმინდი, ეთერზეთოვნები და მეცხოველეობა.

ლაგოდეხის რაიონში ყველაზე მეტი ვენახი სოფელ ჭაბუკიანის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობას აქვს. აფენიდან სულ ახლოა ჭაბუკიანი. აი მისი ვენახებიც. ჯერჯერობით 40 ჰექტარზეა გაშენებული რქაწითელისა და საფერავის ჯიშის ნაქები ვაზი...

ამ სოფლის მეთამბაქოე და მესიმინდე კოლმეურნეები სულ უფრო კარგად ეუფლებიან ვაზის მოვლა-პატრონობის ოსტატობას.

— ჰექტარზე საშუალოდ 65 ცენტნერი ყურძენი მოვკრიფეთ, ნაკარაუდევს 15 ცენტნერით გადავჭარბეთ, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი ჯაჯანიძე.

ურიგო მაჩვენებელი როდია. აქაური კოლმეურნეები კარგად დარწმუნდნენ ვაზის ღირსებასა და სიკეთეში. ამიტომ გადაუწყვეტიათ კიდევ გაადიდონ ვენახების ფართობი.

— წელს 5 ჰექტარზე უკვე გავაშენეთ რქაწითელის ჯიშის ვაზი, — სიამაყით ამბობს კოლმეურნე ივანე მუმლაძე...

შემდეგ გავიგეთ, რომ ივანე მუმლაძეს შარშან ყველაზე უხვი მოსავალი — ჰექტარზე 76 ცენტნერი ყურძენი მოუყვანია. მას მხარს უმშვენებენ აგრეთვე კალისტრატე ბოჟორიშვილი და შალვა შეყილაძე, რომლებმაც საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს ვალდებულებანი.

ბინდი ეფარება ველს... მაგრამ მინდვრებიდან ტრაქტორების შორეული გუგუნი მაინც აღწევს ჩვენამდე. მშვენიერ ამინდებს კარგად იყენებენ ჭაბუკიანელი და აფენელი, ბაისუბნელი და კაბალელი, ბოლქველი და ლელიანელი მექანიზატორები და კოლმეურნეები. ამზადებენ ნიადაგს, სასუქს გააქვთ მინდვრად.

— კეკლუც გაზაფხულთან შესახვედრად! — ასეთია ამქამად მათი მოწოდება.

იმ ღამეს ქარიშხალი ამოვარდა სოფელ ყარსუბანში. მოხუცი კოლმეურნე ვარა ომიაძე შეაღრწუნა გრიგალმა. ტანთ ჩაიცვა და ფარდას გადასწია, ფანჯრიდან ეზოს გახედა. ქარიშხალს თუთის ხე გადაეტეხა.

— „წარღვნაა ეს სატიალო თუ რა ოხრობაა", — ჩაილაპარაკა მოხუცმა და თბილი შალი წამოისხა მხრებზე, გარდაცვლილი ქმრის ვასოს სანადირო თოფი მოიმარჯვა და დერეფანში გავიდა. ორლულიანმა ორჯერ დაიქუხა...

ქარიშხალმა თოფის ხმა მეზობლების კარებს მიახალა, ფანჯრებს მიახეთქა და სოფელი ფეხზე დააყენა... ვეკაცები გუმანით მიხვდნენ, რომ ვიღაც მძიმე გასაჭირში იყო...

— ზენაქრიდან მოვარდა ხმა, — ზენაქრიდან, — ისმოდა ეზოდან ეზოში.

— ზენაქრიდან ვარინკას სახლია...

— ვნახოთ, ვნახოთ, — გაისმა უკუნეთ ღამეში...

ვარა ომიაძეს დერეფანში ესმოდა, როგორ ღრეჭიალებდნენ სახლის თაეხეები... ზანზარებდნენ კედლები, ერთი წუთით გულში გაიფიქრა: —

„ქმარი მომკვდა, შვილები დავკარგე, — ვაი შე სულელო ჩემო თავო, განა ამის შემდეგ დედამიწაზე უნდა დავდიოდე და მზეს ვუყურებდე!".

ის იყო მოხუცი შინ შესვლას აპირებდა, რომ მეზობლების ძახილიც გაიგონა:

— დედა ვარა, დიდედა ვარა, რა ამბავია, ასე გვიან ღამით რომ დაგაყენა ფეხზე?!

მაგრამ როცა მოესმათ ძველი სახლის კოპების ზანზარი, მაშინვე მიხვდნენ რა ამბავიც იყო... მოხუცი ანუგეშეს. დედაკაცებმა მაშინვე თავიანთი სახლისკენ წაიყვანეს... ჯერ კიდევ არ იყო მეზობლისას მისული, რომ რაღაცამ დაიგრუხუნა. ვარა მაშინვე მიხვდა, რომ ეს მისი ძველი სახლი დაინგრა, ქარიშხალმა წააქცია მისი სახლის დედაბოძი.

მწარედ ამოიკვნესა, მაგრამ არ წაქცეულა... შერცხვა, განა ამაზე

ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის

საქმის სული და გული

მოსალამოვდა... ლაგოდეხის რაიონის სოფლებში აინთო აგიტპუნქტების ჩირაღდნები. მთელი დღე საქმით გულანაჯერი კოლმეურნეები აგიტპუნქტებისაკენ მიეშურებიან...

აი სოფელ აფენის აგიტპუნქტი. ლამაზად მოურთავთ და მოუწყვიათ იგი. ამომრჩევლები აქ კითხულობენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, ათვალიერებენ კედლებზე გამოკრულ სქემებსა და დიაგრამებს... თუ რომელიმე მათგანს რაიმე საკითხზე განმარტება დასჭირდა, აქვეა აგიტპუნქტის ხელმძღვანელი გ. ჩიხრაძე და მორიგე აგიტატორი.

— შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ! — თავაზიანად მიმართავენ ისინი დამსწრეებს.

მუდამ ბევრი ხალხია ცოდნისკარის, ნინგორის, ცოდნის აგიტპუნქტებშიც.

რაიონში ახლა 800 აგიტატორი მუშაობს. მათს საქმიანობას საკავშირო უდგანან პირველადი პარტიული ორგანიზაციები. და განა მარტო ეს? რამდენი საზრუნავი აქვთ ახლა კომუნისტებს. ისინი ხომ პარტიის XXII ყრილობის გადწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის სათავეში არიან!

ბევრი, ძალიან ბევრი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგეს სოფლის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. ისინი ყველა საქმის, ყველა წარმატების სული და გული არიან.

ამ დღეებში სოფლის კომუნისტების ყურადღების ცენტრშია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისათვის მზადება. — რით შეეხვდებით პლენუმს? — უსვამენ თავიანთ თავს კითხვას ისინი, და ჩქარობენ, რომ არაფერი გამორჩეთ მხედველობიდან, ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ გაზაფხულს. პარტიულ კრებებზე მსჯელობენ, ანგარიშობენ, თუ რა გზით შეიძლება მიმდინარე წელს კიდევ უფრო გაადიდონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა.

კომუნისტთა მეთაურობით რაიონის სოფლებში ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ლაგოდეხელმა კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს 18 მარტისათვის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის დაამთავრონ თესვისწინა სამუშაოები, სანიმუშოდ გამოაზამთრონ პირუტყვი, ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ საგაზაფხულო თესვას და თამბაქოს რგვას.

ფერმის ეზოში ჩამწკრივებულან ცოდნისკარელი მწველავი გოგონები, კომკავშირული ბრიგადის წევრები: (მარცხნიდან) ლ. ლაბუჩიძე, დ. კიკალიშვილი, თ. ცერცვაძე, ლ. ლაბუჩიძე, ლ. გელაშვილი და ზ. მაჭარაშვილი.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ჩვენ დავინტერესდით ამ ნოვატორი კოლმეურნით და გადავწყვიტეთ პირადად გაგვეცნო იგი.

— ახლა სალამოობაა, სახლში უნდა იყოს, — ამბობს თავმჯდომარე და მისი სახლისკენ მგზავრობს. ... — ... ახალი სახლი აიშენა. კარგი ოჯახი აქვს.

... ოჯახში.

მისი მეუღლეც მოწინავე ... ნუ ჩვენი ფერმის ახალგაზრდული რგოლის მუშაობა. თვითეულ ფურზე 2.950 ლიტრი რძე მიიღო. საერთოდ ამ რგოლში ყველა მოწინავეა. ბაგალითად, ლილი გელაშვილმა უფრო მეტიც — 3.000 ლიტრი რძე მოწველა. საუკეთესონი არიან ალრეთვე გულნარა კაპანაძე, იზოლდა მაჭაიაშვილი და სხვები. ჩვენთან კომკავშირულ-ახალგაზრდული ფერმაა და მისი კოლექტივი მტკიცედ იბრძვნებს რაიონულ გარდამავალ დროშას. წველის გარდა ფერმაში ყველა შრომატევადი საქმეა მექანიზებულია, მაგ სწველი აგრეგატებიც გვექმნება.

— ფერმა ახლოა? — ვეკითხებით თავმჯდომარეს, — მოდი ჯერ ფერმაში შევიაროთ. ძალიან დაგვინტერესა თქვენმა ნაამბობმა.

შარაგზიდან მარცხნივ გადავუხვიეთ. სულ მალე ფერმაში ვიყავით. ჩვენი ყურადღება მიიპყრო სასილოსე ნაგებობამ და ტრანშეებმა. კოლმეურნეები სიმინდის მწვანე მასის სილოსს ეზიდებოდნენ პირუტყვის ბინებში.

— როგორია სილოსის ხარისხი? — ვეკითხებით ფერმის ბრიგადირს ავთანდილ კოკლამაზაშვილს.

— საერთოდ კარგია. მაგრამ პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ მოუცემენტებელ ტრანშეებში უფრო კარგად ინახება სილოსი, ვიდრე სპეციალურ მოცემენტებულ სასილოსეებში. აი ნახეთ, ეს მოცემენტებული სასილოსეა, ეს კი — მოუცემენტებელი ტრანშეა. აი აქ ვარდვით სუფთა სილოსია, აქ კი უფრო ნაკლები ხარისხისაა. ასეთი ტრანშეის მოწყობა იაფიც ჯდება და უკეთესიც არის.

ცოდნისკარელთა შუქურა, სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატი აკაკი კვირიკაშვილი.

* * *

ფერმაში იგრძნობა ადამიანთა დიდი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი.

სახბორეში პატარ-პატარა განყოფილებებია მოწყობილი, ნამჯაზე ახლად მოგებული ხბოები წვანან.

მწველავთა საცხოვრებელი სახლი ფერმის ეზოს გვერდით შესანიშნავად არის მოწყობილი. ახალგაზრდა მწველავ გოგონებს ბინა აქ დაუდგიათ, ცხოვრობენ და შრომობენ. ერთიმეორეზე ზრუნავენ, ხარობენ საერთო სიხარულით და ერთიმეორის გულისტკივილსაც იზიარებენ.

აი საერთო სალონი. შეიძლება ასე ეწოდოს იმ დარბაზს, სადაც ტელევიზორი და რადიომიმღები დგას. აქვეა პატარა ბიბლიოთეკა, მაგიდა, რომელზეც ყოველთვის აწყვია ახალი ჟურნალ-გაზეთები, აქვეა რაიონული გარდამავალი დროშა, რომელიც მათი ფერმის ახალგაზრდული კოლექტივის ღირსებას გვამცნობს.

ფეიერდან აკაკი კვირიკაშვილის სახლისაკენ გავწიეთ.

ეზოში მაღალ-მაღალი, ენერგიული სახის კაცი შემოგვეგება. თმაში აქა-იქ ვერცხლივით უბზინავდა ჭაღარა. შუბლი ოდნავ დანაოჭებოდა, მომწვანო თვალებში ნაპერწკალივით უციმციმებდა სხივი. ლაპარაკობდა უაღრესად თავაზიანად. უცხო კაციც მალე შეატყობდა, რომ იგი კარგი ადამიანია, — სწორედ ისეთი, როგორიც ავთანდილ კაპანაძემ დაგვიხასიათა.

— შინ მობრძანდით, — გვეპატიჟება მასპინძელი და მიგვიძღვის მეორე სართულის კიბეზე.

— „სტუმარი ქართველი კაცის სიხარულიაო", — ნათქვამია. ეს სიხარული ამოვიკითხეთ აკაკი კვირიკაშვილის სახეზეც.

— აკაკი, — მომართავს თავმჯდომარე, — სტუმრებს შენი მუშაობისა და ცხოვრების გაცნობა აინტერესებთ...

აკაკის სომკრთალემ გადაჰკრა სახეზე. მორცხობის ეს უკეთილშობილესი თვისება ნათლად შევნიშნეთ. ცოტა ხანს ჩაფიქრდა. შემდეგ დინჯად ასწია თავი..

— ჩვენც ისე ვცხოვრობთ, როგორც ყველა კოლმეურნის ოჯახი... შარშან ორ ჰექტარზე მოვუარე სიმინდს და თვითეულზე 107 ცენტნერი მოსავალი მივიღე. ორმაგად შეეასრულე თამბაქოს, ხოლო ოთხმაგად — რეჰანის მოსავლიანობის გეგმები. ჩემი ოჯახი აბრეშუმის ჭიასაც ეკვლიდა. არც ამ დარგში გვაქვს ურიგო მაჩვენებელი: 27 კილოგრამის ნაცვლად 60 კილოგრამზე მეტი პარკი მივყიდეთ სახელმწიფოს.

— ამ პარკიდან მოქსოვილი აბრეშუმით ჩვენი სოფლის ორასი ქალიშვილი შეიმოსება, — ღიმილით ამბობს მისი ქალიშვილი...

თავმჯდომარე ხალისიანად განაგრძობს:

— აკაკის მიერ მოყვანილი სიმინდით გასუქებული ღორების საერთო წონა ოთხ ტონას გადააჭარბებს. სხვანაირად ვერ შეეძლებოდით 800 ღორის გამოზრდას...

— აკაკი 1960 წლის მაჩვენებლებით, — გვიხსნის თავმჯდომარე, — ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მონაწილეობდა. სოფელში ძვირფასი ამანათები მივიღეთ. საგამოფენო კომიტეტმა აკაკის ჯილდოდ ველოსიპედი და ვერცხლის მედალი გამოუგზავნა.

— ჩემს მობრძანდით, — გვეპატიჟება მასპინძელი და მიგვიძღვის მეორე სართულის კიბეზე.

— „სტუმარი ქართველი კაცის სიხარულიაო", — ნათქვამია. ეს სიხარული ამოვიკითხეთ აკაკი კვირიკაშვილის სახეზეც.

— აკაკი, — მომართავს თავმჯდომარე, — სტუმრებს შენი მუშაობისა და ცხოვრების გაცნობა აინტერესებთ...

აკაკის სომკრთალემ გადაჰკრა სახეზე. მორცხობის ეს უკეთილშობილესი თვისება ნათლად შევნიშნეთ. ცოტა ხანს ჩაფიქრდა. შემდეგ დინჯად ასწია თავი..

— ჩვენც ისე ვცხოვრობთ, როგორც ყველა კოლმეურნის ოჯახი... შარშან ორ ჰექტარზე მოვუარე სიმინდს და თვითეულზე 107 ცენტნერი მოსავალი მივიღე. ორმაგად შეეასრულე თამბაქოს, ხოლო ოთხმაგად — რეჰანის მოსავლიანობის გეგმები. ჩემი ოჯახი აბრეშუმის ჭიასაც ეკვლიდა. არც ამ დარგში გვაქვს ურიგო მაჩვენებელი: 27 კილოგრამის ნაცვლად 60 კილოგრამზე მეტი პარკი მივყიდეთ სახელმწიფოს.

— ამ პარკიდან მოქსოვილი აბრეშუმით ჩვენი სოფლის ორასი ქალიშვილი შეიმოსება, — ღიმილით ამბობს მისი ქალიშვილი...

თავმჯდომარე ხალისიანად განაგრძობს:

— აკაკის მიერ მოყვანილი სიმინდით გასუქებული ღორების საერთო წონა ოთხ ტონას გადააჭარბებს. სხვანაირად ვერ შეეძლებოდით 800 ღორის გამოზრდას...

— აკაკი 1960 წლის მაჩვენებლებით, — გვიხსნის თავმჯდომარე, — ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მონაწილეობდა. სოფელში ძვირფასი ამანათები მივიღეთ. საგამოფენო კომიტეტმა აკაკის ჯილდოდ ველოსიპედი და ვერცხლის მედალი გამოუგზავნა.

— ჩემს გარდა სხვაც ბევრია დაჯილდოებული, — ამბობს აკაკი. მასპინძელს შევატყვეთ, რომ მხოლოდ საკუთარ წარმატებაზე ლაპარაკი ეუხერხულებოდა. ამიტომ თავმჯდომარეს ნოვატორი სწრაფად გამოჰყავს უხერხული მდგომარეობიდან.

— კი. იზოლდა მაჭაიაშვილი, ნადეჟდა რახენკო და სხვები დაჯილდოებულნი არიან მაჯის საათებით. ბევრმა ვერცხლის მედალი დიპლომი აიღო.

ბუხარში იწვის ჭიაურის ვერხვის ნახერქი. ტკბილ საუბარში სიტყვა მშვიდობაზე ჩამოვარდა. აკაკიმ ბუხარს მიაპყრო თვალი და თითქოს სხვა სამყაროში გაიტაცა ფიქრმა... ბევრი ვაჟკაცი დაეცა ჩემს გვერდით... სევასტოპოლიდან ბერლინამდე ვსდიეთ მტერს. ბევრჯერ დავიჭერი. გათავდა ომი. შრომას დავეწაფე. უკან დარჩენილი ოჯახი აღვადგინე. ახლა ჩვენ მხოლოდ მშვიდობა გვინდა.

სავსებით სწორია ჩვენი მასპინძელი. იგი ისევე ფიქრობს, როგორც თვითეული ჩვენთაგანი.

ალ. ზურაშვილი,
შ. შაველაშვილი.

ლაგოდეხი, თებერვალი, 1962 წ.

ეს კი ყარსუბნელი მოხუცი კოლმეურნის ვარა ომიაძის სახლია, რომელიც მშობლიურმა კოლმეურნეობამ აუშენა.

* * *

ამერიკის მთავრობის პოლიტიკური რისკი

ვაშინგტონი, 3 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის მეცნიერთა ფედერაციის საბჭომ მოწოდებით მიმართა შეერთებული შტატების მთავრობას არ განახლოს ატომური იარაღის გამოცდა ატომოსფეროში. ამ საერთო-ეროვნული ორგანიზაციის ყოველწლიურმა კრებამ, რომელიც აერთიანებს მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგის 2 ათასზე მეტ ამერიკელ მეცნიერსა და ინჟინერს, გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ პოლიტიკური რისკი, რომელიც დაკავშირებულია ატომური იარაღის გამოცდასთან და ამასთან დაკავშირებით გამალებული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ პოლიტიკური შეთანხმების მიღწევის შანსს შემცირებასთან, მეტია, ვიდრე ამერიკის იარაღის ის გაუჯობესება, რაც

ამერიკელ მეცნიერთა განცხადება

შეიძლება მიღწეულ იქნას ახლა გამოცდის განახლების შედეგად.

ამერიკელი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს უკვე საკმაო რაოდენობით აქვთ იარაღი, რათა მოსპონ ერთმანეთი, და ატომური იარაღის შემდგომი „გაუმჯობესება“ მნიშვნელოვნად ვერ შეცვლის ამ ძალთა თანაფარდობას. არასამხედრო თვალსაზრისით, შეერთებული შტატები ატმოსფეროში ატომური იარაღის გამოცდის განახლებით მხოლოდ წაგებენ. ჯერ ერთი, აღნიშნულია ამერიკელ მეცნიერთა განცხადებაში, საბჭოთა კავშირმა გამოაცხადა, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატები განაახლებენ გამოცდას ატმოსფეროში, საბჭოთა კავშირიც განაახლებს მას. ხოლო თუ ჩვენ თავს შევიკავებთ გამოცდის განახლებისაგან, საბჭოთა კავშირსაც არ ექნება ამის საბაბი. გამოცდის განახლება, აღნიშნავენ შემდეგ ამერიკელი მეცნიერები, ცუდ გავლენას მოახდენს ამერიკის საზოგადოებრივობაზე, რადგან იგი გაძლიერებს შთაბეჭდილებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ სამხედრო ძალით.

გადაწყვეტილება გამოცდის განახლების თუ არგანახლების შესახებ, აღნიშნავენ დასასრულ ამერიკელი მეცნიერები, არ შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ სამხედრო მოსაზრებებზე დაყრდნობით. იგი უნდა ითვალისწინებდეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავარ გრძელვადიან მიზნებს და ბელს უწყობდეს ეროვნული უშიშროების განმტკიცებას უფრო ფართო გაგებით.

ამერიკის მეცნიერთა ფედერაციის საბჭო ითვალისწინებს ყოველივე ამას და განსაკუთრებით იმ გავლენას, რომელსაც ატმოსფეროში გამოცდის განახლება მოახდენს მოლაპარაკებაზე განიარაღების შესახებ და აცხადებს, რომ ფრიად არაგონივრული იქნებოდა ასეთი გამოცდის განახლება ამჟამად.

მთავრობის კრიზისი იტალიაში

რომი, 3 თებერვალი. (საკდესი). იტალიაში დაიწყო მთავრობის კრიზისი. გუშინ საღამოს რომში გაიმართა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მთავრობის გადადგომის შესახებ. ამის შემდეგ დიუყოვნებლივ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამინტორე ფანფანი გაემართა კვირინალის სასახლეში (სახელმწიფოს მეთაურის რეზიდენცია. — რედ. შენიშნა) და გადასცა პრეზიდენტ გრონჯის განცხადება გადადგომის შესახებ.

მთავრობის ახლანდელი კრიზისი ლოგიკური შედეგია იგრეთწოდებული „კონვერჯენცის“, ესე იგი ქრისტიანულ-დემოკრატიული, რესპუბლიკური, სოციალ-დემოკრატიული და ლიბერალური პარტიების კავშირის დაშლისა. ეს კავშირი შეიქმნა 1960 წლის ივლისის ცნობილი ამბების შემდეგ, როცა ანტიფაშისტური მოძრაობის მძლავრმა ტალღამ დაიბრო ხალხისთვის საძულველი ტამბრონის მთავრობა.

ანგოლა არ ცხრება

რაბატი, 1 თებერვალი. (საკდესი). 4 თებერვალს ერთი წელი სრულდება იმ დღიდან, რაც დაიწყო ანგოლელი ხალხის გმირული შეიარაღებული აჯანყება საძულველი მტრის —პორტუგალიის კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

როგორც მაროკოს პრესის სააგენტო იუწყება, ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით პორტუგალიის კოლონიის ნაციონალისტური ორგანიზაციების კონფერენციამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც ნათქვამია:

„1961 წლის 4 თებერვალს ანგოლის პატრიოტებმა დაიწყეს შეტევა ლუანდის სამხედრო და სამოქალაქო საპატიმროებზე, რათა გაეთავისუფლებინათ ნაციონალისტური მოძრაობის დაპატიმრებული ხელმძღვანელები. ანგოლელ პატრიოტთა ეს გმირული შეტევა მოასწავებდა ანგოლის ხალხის შეიარაღებული აჯანყების დაწყებას პორტუგალიის კოლონიალიზმის წინააღმდეგ“.

ანგოლაში განმათავისუფლებელი ომის დაწყების პირველ წლისთავთან დაკავშირებით პორტუგალიის კოლონიების ნაციონალისტურ ორგანიზაციათა კონფერენციის მუდმივი სამდივნო მოუწოდებს ყველა ანტიკოლონიურ ორგანიზაციას სოლიდარობა გამოუცხადონ ანგოლელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

ბომბები კვლავ ფეთქდება

პარიზი, 2 თებერვალი. (საკდესი). პარიზის ცენტრში ერთ-ერთ გზაჯვარედინზე ქანდარმი აჩერებს ავტომანქანას. მძღოლს წინადადებას აძლევენ ჩამოვიდეს და წარმოადგინოს დოკუმენტები. სანამ ერთი ქანდარმი გულდასმით ამოწმებს შეშინებული ობივატელის დოკუმენტებს, ეძებს საეჭვო რამეს სპარაგობი და საჯდომების ქვეშ, წესრიგს მეორე დამცველს ხელშ უჭირავს მძღოლისაკენ მიშვერილი ავტომატი.

უკვე ორი დღეა ასეთ სურათს ხედავენ საფრანგეთის დედაქალაქის მცხოვრებნი. დღისით და ღამით, ხან ერთ, ხან მეორე ადგილას ან ერთდროულად პარიზის რამდენიმე უბანში უეცრად ჩნდება პოლიციელთა კორდონები და იწყება დოკუმენტების გულდასმით შემოწმება.

პარიზის პოლიციელებმა მიიღეს მაშველი ძალები. სამი დღის წინათ პარიზში დამატებით გადმოიყვანეს „უშიშროების ოთხი რესპუბლიკური რაზმი“.

როგორც ბაზეთები იუწყებიან, დღეს პარიზში მოდის კიდევ ხუთი ახალი „უშიშროების რესპუბლიკური რაზმი“. პარიზის ირგვლივ ამოსავალი მდგომარეობა

სალაზარის რეჟიმი ორჩოფეხებზეა.

ნახატი ავსტრიულ გაზეთ „ფოლკსშტიმიდან“.

თითქმის ორ კვირას გრძელდებოდა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, პუნტა-დელ-ესტეში. ფართო მსოფლიო საზოგადოებრიობა განსაკუთრებული უურადღებით ადევნებდა თვალყურს შეერთებული

კუბის მეზრების დამარცხება

შტატების მანევრებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ „ერთიანი ფრონტით“ გამოეყენებინათ ლათინური ამერიკის ქვეყნები რევოლუციური კუბის წინააღმდეგ. ახლა, როცა გამოქვეყნდა თათბირის შედეგები, ყველასათვის ცხადია, რომ კუბის რევოლუციის მტრებმა გადაჭარბებით შეიფასეს თავიანთი შესაძლებლობანი და საბოლოო ანგარიშით სასტიკი მარცხი განიცადეს.

კუბის ახლანდელი რეჟიმისადმი ბრმა სიძულვილით ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ცდილობდნენ მიელიოთ ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა თანხმობა კუბასთან დიპლომატიური ურთიერთობის კოლექტიურ გაწყვეტასა და მის წინააღმდეგ მკაცრი ეკონომიური სანქციების გამოყენებაზე. მათი ეს ცდა ამაო აღმოჩნდა: ლათინური ამერიკის ყველაზე დიდმა ქვეყნებმა — ბრაზილიამ, მექსიკამ, არგენტინამ, ბოლივიამ, ეკვადორმა და ჩილემ, რომელთა მოსახლეობა 140 მილიონზე მეტ კაცს ანუ ლათინური ამერიკის მთელი მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტს შეადგენს, — არ დაუჭირეს მხარი ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ უსამართლო საქმეში. შეერთებულმა შტატებმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ მიაღებინეს რეზოლუცია ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციიდან კუბის გარიცხვის შესახებ, მაგრამ ეს მათ ვერ ანუგეშებს. რეზოლუცია მიღებულ იქნა საჭირო ხმების მინიმუმით — 14 ხმით 21-დან, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ იგი ეწინააღმდეგება ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდებას და მოკლებულია იურიდიულ ძალას.

ბრაზილიის, არგენტინის, მექსიკისა და ლათინური ამერიკის მთელი რიგი სხვა ქვეყნების ხელმძღვანელმა მოლაწეებმა განაცხადეს, რომ ხსენებული გადაწყვეტილება უკანონოა და რომ ვერ ცნობენ მას. მართლაც, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდებაში არ არის მითითება, რომ ლათინური ამერიკის რომელიმე ქვეყანა შეიძლება იდეოლოგიური მოტივებით გამორიცხონ ამ ორგანიზაციიდან. როგორც სამართლიანად აღნიშნა ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დანტასმა, სანქციის კუბის წყობილების წინააღმდეგ შეიძლება მოპყვეს მძიმე შედეგები, შეიქმნას საშიში პრეცედენტი.

ამერიკის პრესა არ მალავს, რომ ამერიკის სახელმწიფოთა თათბირის შედეგები სასტიკი ლაზარი იყო შეერთებული შტატების პრესტიჟისათვის ლათინურ ამერიკასა და მთელ მსოფლიოში. და თუმცა დინ რასკი აღნიშნავს „განსაცვიფრებელ ერთობას“ რევოლუციური კუბის დაგმობაში, გაზეთები ამჯობინებენ თავიანთ მსჯელობაში დაეურდნონ რეალურ სინამდვილეს. გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ აღნიშნავს, რომ შეერთებულმა შტატებმა პუნტა-დელ-ესტეში ვერ მიაღწიეს „ფიდელ კასტროსადმი უცილობელი მტრობის გამოვლინებას“ და წერს: „სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა ვერ მოიპოვა დიპლომატიური გაბარჯვება და ახლა იძულებულია შეძლებისდაგვარად გამოგვიყვანოს მდგომარეობიდან, რომელიც საფრთხეს უქმნის შეერთებული შტატების პრესტიჟს“.

მაგრამ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლა არც ისე ადვილია. ამერიკის საზოგადოებრიობას თათბირამდე დიდი ხნით ადრე სეჭვად ეთქვა, რომ სასარგებლოა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოჩენილი ინიციატივა, რომელიც ცდილობდნენ ანგარიში გაეწიოთ ლათინური ამერიკის ინტერესებისათვის. ასეთი ანგარიშის გაწევრობა ხომ სცადეს ჯერ კიდევ 1960 წელს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის თათბირზე კოსტა-რიკაში და ამას როგორც ცნობილია, არ მოჰყოლია წარმატება. ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი სახელმწიფო მდივნის ბერტერის ყოველგვარი ცდის მიუხედავად თათბირის მონაწილეებმა უარი თქვეს მიეღოთ „მტკიცე რეზოლუცია“, რომელიც დაგმობდა კუბას. ამერიკის ხელმძღვანელებმა არ გაკეთეს დასკვნა ამ საკადალო გამოცდილებიდან და კვლავ მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. დასავლეთის პრესა სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალ მარცხს მოპყვება დაძაბულობის გაძლიერება ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრთა ურთიერთობაში.

გადაწყვეტილება ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციიდან კუბის გარიცხვის შესახებ უახლოეს დროში განსახილველად უნდა წარედგინოს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საბჭოს ვაშინგტონში. ამერიკის გაზეთები არცთუ უსაფუძვლოდ გამოთქვამენ შიშს, რომ ეს გადაწყვეტილება „ჩაიფლობა იურიდიულ ფორმალობებში“ და მისი შესრულების ვადა „გაურკვეველი დროით დაყოვნდება“. ყოველივე ეს, როგორც „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ აღნიშნავს, შეასუსტებს პუნტა-დელ-ესტეში მიღებული გადაწყვეტილების სერიოზულ ზეგავლენას.

ლათინური ამერიკის ქვეყნების ცალკეულ მთავრობათა „დამუშავებისა“ და მათი გადაბირების მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელნი მიმართავენ ფარულ მაქინაციებს, ზემოქმედებასა და მუქარას. ამასთან მათ არ სურთ აღიარონ ის უდავო ფაქტი, რომ საბოლოო ანგარიშით არა მთავრობებს, არამედ ხალხს აქვთ გადამწყვეტი სიტყვა. ამერიკის სახელმწიფოთა თათბირის დღეებში მთელ ლათინურ ამერიკაში იმართებოდა მასობრივი მანიფესტაციები რევოლუციური კუბის დასაცავად, ლათინური ამერიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში შეერთებული შტატების ჩარევის წინააღმდეგ. ჰავანაში გაიმართა ამერიკის ხალხთა კონფერენცია, რომელმაც გადაჭრით დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური პოლიტიკა კუბის რევოლუციის მიმართ. „კუბასთან სოლიდარობა, — ნათქვამია კონფერენციის დეკლარაციაში, — ახლა ლათინური ამერიკის ყველა ხალხის მტკიცე მოვალეობაა... კუბის ბედი ლათინური ამერიკის 200 მილიონი მცხოვრების ბედია, რომლებიც იბრძვიან იმისათვის, რომ დაამსხვრიონ მონობისა და სიღატაკის ბორკილი“.

ვაშინგტონის ხრიკები და მაქინაციები ვერ შეიყვანენ შეცდომაში ლათინური ამერიკის ხალხებს. ცნობილია, რომ ამერიკის მთავრობამ შეიმუშავა „დახმარების“ ეკონომიური პროგრამა პრეტენზიული სახელწოდებით „კავშირი პროგრესისათვის“. ამ პროგრამას, რომელსაც ამერიკის პროპაგანდა უბადაღებულ მარშალის გეგმას ადარებს, არა აქვს სხვა მიზანი თუ არა შემდგომი დამონება ლათინური ამერიკის ქვეყნებისა და ამიტომ, ბუნებრივია, რომ მის რეალიზაციას წინააღმდეგობას უწევენ ეს ქვეყნები. ამერიკელი კონგრესმენები, რომლებიც ეწევიან ლათინურ ამერიკას, პირდაპირ აცხადებენ, რომ აღნიშნული პროგრამა არ არის პოპულარული ლათინური ამერიკის მოსახლეობაში.

პუნტა-დელ-ესტეს თათბირის ორგანიზატორებს — შეერთებულ შტატებს — იმედი ჰქონდათ, რომ კუბას დასვამდნენ სამხრალმდებლო სკამზე, ხოლო თვითონ მსაჯულის როლში გამოვიდოდნენ. სინამდვილეში ბრალდებული აღმოჩნდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელნი, რომლებმაც კვლავ გამოამეღავნეს თავი როგორც „დიდი კეტის“ პოლიტიკის მომხრეებმა. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციიდან კუბის გარიცხვის სამარცხვინო გადაწყვეტილება ვერ შეაჩერებს კუბის რევოლუციას. კუბა განაგრძობს თავის დიად, კეთილშობილურ საქმეს. „ჩვენ, — განაცხადა კუბის დელეგაციის მეთაურმა პრეზიდენტმა ოსვალდო დორტიკოსმა, — დამშვიდებით ვტოვებთ ამ თათბირს, რადგან ვიცით, რომ ისტორიას ქმნიან არა რეზოლუციები, არამედ ხალხები. ამერიკის კონტინენტი იქნება თავისუფალი, ნამდვილად თავისუფალი. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციასთან ერთად ან უმისოდ ჩვენ გავიმარჯვებთ!“

დ. ბოჩაროვი.

ი. გაგარინი ასუანში

კაირო, 2 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა კოსმონავტი ი. ა. გაგარინი, რომელიც ვიზიტით იმყოფება არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, დღეს ეწვია ქალაქ ასუანს.

ასუანის აეროდრომზე კოსმოსის გმირს საზეიმო ვითარებაში შეხვდნენ ასუანის ათასობით მცხოვრები, ასუანის კაშხალის საბჭოთა და არაბი სპეციალისტები და მშენებლები.

ამ უძველესი ქალაქის მცხოვრებთა სახელით საბჭოთა კოსმონავტს მიესალმა ასუანის გუბერნატორი მუჰამედ ეზატ სალამა. მიმართა რა ი. ა. გაგარინს, მან განაცხადა: „თქვენი ჩამოსვლა ასუანში მოწმობს იმ კარგ მეგობრობას, რომელიც შეიქმნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის თანამშრომლობის შედეგად და, კერძოდ, ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობის შედეგად.

ჩვენ უზომოდ ბედნიერი ვართ მოგესალმოთ ასუანში — მომავლის ამ ქალაქში, რომელიც ბედნიერებასა და აყვავებას მოუტანს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხს.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშის გრიალში და მისალმების შეძახილებში „გაუმარჯოს გაგარინს — კოსმოსის პიონერს!“, „გაუმარჯოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — ჩვენს მეგობარს!“ ასუანის გუბერნატორმა ი. ა. გაგარინს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

ი. ა. გაგარინმა გულითადი მადლობა გადაუხადა შემხვედრთ განსაკუთრებით გულთბილი მიღებისათვის. და ასუანის მცხოვრებლებს გადასცა საბჭოთა ხალხის დიდი სალამი. მან უსურვა აგრეთვე ასუანის მაღალი კაშხალის მშენებელთა მთელ კოლექტივს დიდი წარმატებანი ამ გრანდიოზული ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობაში. ი. ა. გაგარინმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დათვალიერეს ასუანის მაღალი კაშხალის სამშენებლო მოედანი და გაეცნენ მშენებლობის მიმდინარეობას.

კაშხალის მშენებლობის დათვალიერების შემდეგ ი. ა. გაგარინი და მისი თანმხლები პირნი თვითფრინავით გაემგზავრნენ ლუქსორში. ლუქსორის აეროდრომზე საბჭოთა კოსმონავტს შეხვდნენ კენის (ლუქსორი მდებარეობს კენის საგუბერნატოროში) გუბერნატორი მუჰამედ ახდალა გაბარა და ლუქსორის მრავალი მცხოვრები.

დღის მეორე ნახევარი ი. ა. გაგარინმა და მისმა თანმხლებმა პირებმა მოანდომეს ძველი ეგვიპტური კულტურის ძეგლების — კარნაკისა და ლუქსორის ტაძრების გაცნობას.

საღამოს კენის გუბერნატორმა სადილი გამართა საბჭოთა კოსმონავტის პატივსაცემად.

შტრაუსის საიდუმლო მოლაპარაკება

ბონი, 3 თებერვალი. (საკდესი). ნატოს გენერალური მდივანი სტიკერი დაპირდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრს შტრაუსს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან თავისი მომავალი შეხვედრის დროს იგი „კვლავ ჩამოაყალიბებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სურვილს“, რომ ნატოს „ევროპის კონტინენტურ ქვეყნებს“ (ესე იგი უწინარეს ყოვლისა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას) მიენიჭოთ უფლება მონაწილეობა მიიღონ ატომური იარაღის გამოყენების საკითხის გადაჭრაში. ამის შესახებ წერს ბონის პრესბიულეტენი „პარლამენტარიმ-პოლიტიშერ პრესედინსტი“. შეთანხმება მიღწეულია საიდუმლო მოლაპარაკებაზე შტრაუსსა და სტიკერს შორის, რომელიც ამას წინათ გაიმართა პარიზში.

როგორც ბონის მთავრობის წრეებში იტყობინებიან, იუწყება პრეს-ბიულეტენი, შტრაუსმა პირობა მისცა სტიკერს, რომ შეუძლია იქონიოს ბონის „მტკიცე მხარდაჭერის“ იმედი.

ტელეგრაფი გვაცყობინებს

□ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გეორგე გეორგიუ-დეჟმა მიიღო საბჭოთა მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკთა ჯგუფი. მიღებას დაესწრო რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი კიკუ სტოიკა. შეხვედრამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

□ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ნასერის მიერ გამოცემული რესპუბლიკური დეკრეტების შესაბამისად არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ნაციონალიზებულია პურის საცხობი ხუთი კერძო კომპანია და 77 კერძო საწარმო. ამავე დეკრეტებით გათვალისწინებულია პურის საცხობ და საფქვავ საწარმოთა სახელმწიფო ორგანიზაციების შექმნა.

□ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო მეფულეთურთ პრეზიდენტ ნასერის მიწვევით გაემგზავრა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ხანმოკლე დასვენებისათვის.

□ ლაოსის პრემიერ-მინისტრი პრინცი სუვანა ფუმა ჟენევიდან დაბრუნდა სურვილის ველში (ლაოსი).

□ შეეახილებით „გაუმარჯოს თავისუფლებას“, „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ ჩაიარეს რესპუბლიკელმა დემონსტრანტებმა ოპორტოს ქუჩებში, რომელიც პორტუგალიის მეორე ქალაქია სიდიდით. დემონსტრაცია მოეწყო ამ ქალაქში რესპუბლიკელთა აჯანყების 71-ე წლისთავთან დაკავშირებით. პოლიციამ იარაღი გამოიყენა დემონსტრანტების წინააღმდეგ. დაჭრილია 18 კაცი. (საკდესი).

დიფენბეიკერის განცხადება

ოტავა, 3 თებერვალი. (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში პრემიერ-მინისტრ დიფენბეიკერს სთხოვეს კომენტარი გაეკეთებინა სახელმწიფო მდივნის რასკის განცხადებისათვის პრეს-კონფერენციაზე კუბასთან დასავლეთის ნახევარსფეროს ქვეყნების მიერ ვაჭრობის შეწყვეტის შესახებ.

დიფენბეიკერმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორ კურსს განახორციელებს კანადა, უნდა მიიღოს თვითონ კანადამ იმ პოლიტიკის საფუძველზე, რომელიც მის ინტერესებს შეესაბამება.

ორი დღით ადრე დიფენბეიკერმა განაცხადა პარლამენტში, რომ კანადის მთავრობა არ აპირებს შეცვალოს თავისი პოლიტიკა კუბასთან არასტრატეგიული მასალებით ვაჭრობის საკითხში.

ამერიკელ ბიბლიოთეკა

ამას წინათ ცეილონში გამომძღვანდა შეთქმულება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ჯარისა და პოლიციის მაღალი რანგის ოფიცრები. შეთქმულთა მიზანი იყო ცეილონის პრემიერ-მინისტრის ბანდარანაიკეს გადაყენება. მთავრობის ენერგიულ ღონისძიებათა შედეგად შეთქმულება ჩაიფუშა.

სურათზე: ცეილონის პრემიერ-მინისტრი ბანდარანაიკე.

რატომ გადადეს გლენის გაფრენა

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი. (საკდესი). გუშინ აერონავტიკისა და კოსმოსურ სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ დედამიწის ორბიტაზე ამერიკელი კოსმონავტის გლენის გაშვების ვადის მეექვსეჯერ გადატანა გამოწვეულია „ტექნიკური სიძნელეებით“. განცხადებაში ნათქვამია, რომ „ატლას 109დ“ რაკეტაში, რომელსაც ორბიტაზე უნდა გაეყვანა გლენის კაფსულა, აღმოჩენილია დენი ნავთის ავზში. ნავთმა გაჟონა პლასტიკურ ღრუბლოვან იზოლაციაში,

ამერიკის პრესის მონაცემებით, უწესცვრობა საწვავის ავზებში საეჭვოს ხდის „ატლასის“ კლასის იმ საკონტინენტთაშორისო საბრძოლო ბალისტიკური რაკეტების ნახევრის ეფექტიანობას, რომლებიც ახლა სასტარტო მოუდნებზე არიან შეერთებულ შტატებში.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ იუწყება, რომ დენამ ნავთის ავზში გამოიწვია, კერძოდ, ის, რომ გადაიდო კოსმოსური ხომალდის „რეინჯერ 111“ გაშვება მთვარის მიმართულებით.

კომპანია „ჯენერალ დინამიკსის“ წარმომადგენელმა, რომელიც „ატლასს“ ამზადებს, პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მან არ იცის მიზეზი, რაც იწვევს ნავთის დენას ამ კლასის რაკეტებში.

ფული, ფული...

ქალო, უკვე გამოძებნეთ ლამაზი სახელი თქვენი ვაჟიშვილისათვის?

— ჯერ არა.

— ეს ხომ არც ისე ძნელია.

— კაი, კაი, რომ ძნელია. მე ჯერ ვერ გამოვარკვიე მისი რომელი პაპა უფრო მდიდარია.

ვაის გაექარა, უის შეექარა

ფლორიდაში ჩასულმა მსხვილმა ფინანსისტმა გადაწყვიტა ებანავნა.

— აქ ნიანგები არ არიან? — ჰკითხა გიდს.

— არა, — უპასუხა მან.

ტურისტი დამშვიდდა და ჩავიდა წყალში. ცოტაოდენი რომ იცურა, კვლავ შეეკითხა:

— მაგრამ რატომ ხარ დარწმუნებული, რომ აქ ნიანგები არ არიან?

— მათ ბაგეა ჰყოფნით, — უპასუხა გიდმა, — მათ ზვიგენებისა ეშინიათ!

ასპარეზობა „ბურევესტნიკის“ ალმით

თბილისი სპორტის სასახლეში სამი დღეა გრძელდება სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება ხელბურთში.

როგორც განელილმა მატჩებმა ცხადყო გუნდების უმრავლესობა კარგად არის მომზადებული. პირველ რიგში ეს ითქმის ჩერკასკისა და მინსკის ქალთა და კიევის, მოსკოვისა და თბილისის ვაჟთა გუნდებზე.

გუშინ შედგა მორიგი შეხვედრები. წარმატებით გამოდის ჩერკასკის პედაგოგიური ინსტიტუტის ხელბურთელთა კოლექტივი, რომელსაც ჯერ არც ერთი მატჩი არ წაუგია. მესამე ტურში ჩერკასკელებმა დაამარცხეს ბაკოს „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდი დიდი ანგარიშით 22:3.

მესამე დამარცხება იგემა ზედიზედ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა. გუშინ მათ წააგეს შეხვედრა სვერდლოვსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან 3:13 (2:6).

კიევის სკიფის ვაჟთა გუნდმა, რომელიც პირველობის ერთ-ერთი პრეტენდენტია, გუშინ გათამაშების ცხრილში მორიგი გაძარჯვება და 2 ქულა ჩაიწერა მინსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან მატჩში. ანგარიშია 22:16 (10:4). მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და ბაკოს „ბურევესტნიკის“ მატჩის შედეგია 21:7 მოსკოველთა სასარგებლოდ. სვერდლოვსკისა და ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდების მატჩში ფიქსირებულ იქნა ფრე — 13:13.

მესამე ტურის ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და თბილისის „ბურევესტნიკის“ მატჩი. ანგარიში თბილისელებმა გახსნეს, მალე ანთავეს ორი ბურთი გაიტანა ზედიზედ მეტოქის კარში, მაგრამ მოსკოველებმა ორი გოლითვე უპასუხეს. ამის შემდეგ ქულათა სხვაობა მეტწილად მინიმუმამდე იყო დაყვანილი — 4:3, 5:4, 9:8, ხოლო ტაიმის ბოლოს სტუმრებმა გაათანაბრეს ანგარიში — 9:9.

მეორე ტაიმში თბილისელები უფრო შეწყობილად და აქტიურად იბრძოდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 20:16.

სტოკჰოლმი, 4 თებერვალი (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). როგორც ვიუწყებოდით 4 ტურის შემდეგ ლიდერები იყვნენ ჩეხოსლოვაკიელი გროსმაისტერი მ. ფილიპი და არგენტინელი ოსტატი ი. ბოლბოჩანი, ამიტომ მომდევნო ტურში სწორედ ამ მოკადრაკეთა პარტიებზე იყო გამახვილებული ყურადღება ლ. შტეინთან და ფ. ოლაფსონთან.

შტეინმა უარეს პოზიციაში დროს გადააცილა და წააგო.

ბოლბოჩან-ფ. ოლაფსონის პარტიაში თავიდანვე პოზიცია დაახლოებით თანაბარი იყო და „მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა ი. ტეშნერ-ა. იანოვსკის პარტია.

როგორც სჩანს ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი რ. ფიშერი კარგ სპორტულ ფორმაშია. მან შავებით გაითამაშა სიცილიური დაცვა ი. ბილეკის წინააღმდეგ და თანდათანობით შეძლო ინიციატივის ხელში ჩაგდება. ბილეკმა პარტიის გართულების მიზნით მეტოქეს ჯერ პაიკი, ხოლო შემდეგ ფიგურა შესწირა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, გადააცილა დროს, და დამარცხდა.

ჩეხელი შეხვდებიან თბილისელებს

თბილისის დინამოელებმა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში კარგი სტარტი აიღეს. მორიგ მატჩში თუ ვისთან ეკნებოდათ თბილისელებს საქმე, დამოკიდებული იყო უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონთა — „ჰონვედისა“ და „ისკრის“ მატჩზე.

ამ გუნდების პირველ შეხვედრაში გაიმარჯვეს უნგრელებმა 90:74. მეორე მატჩი შედგა პრაღაში და მოიგეს ჩეხებმა 75:58.

ამრიგად, ქულათა უკეთესი სხვაობით თასისათვის ბრძოლის მორიგ ეტაპში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს „ისკრას“ (სეტი) კალათბურთელებმა. მათი მეტოქე იქნება თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა კოლექტივი.

მ. ფილიპი — ტურნირის ლიდერი

მ. ბერტოლმა მოუგო მ. კუელარს, ს. ბლიგორიჩმა — მ. აარონს, გ. ბარცასა და ა. ბისჰაიერის პარტიაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ვ. კორჩნოისა და ტ. შეტროსიანის პარტია გადადებულია რთულ პოზიციაში. ე. გელერი მეხუთე ტურში ისვენებდა.

5 ტურის შემდეგ ლიდერია მ. ფილიპი, რომელსაც 4,5 ქულა აქვს. რ. ფიშერს და ი. ბოლბოჩანს ოთხ-ოთხი ქულა აქვთ.

ფოლკლორული-შემკრებლობითი კომპირობა

„შვიდკაცა“.

ნახ. რ. თარხან-მოურავისა.

ცხენისწყალი

ცხენზე სწრაფო, ქარზე მალო,
წყალო, იმერეთის სიყვარულით მთვრალო,
წყალო, ჩემო ცხენისწყალო, უკვდავების წყაროვ,
წყალო, ზღიარულო წყალო, მოწყენილი კი არ ხარო,
შენ ამ მთების მშვენებავ და გულის გასახარო,
წყალო, ცხენისწყალო, შენ გლეხკაცის ამაგდარო,
ცელქო წყალო, ის მითხარი, ვიღას შეგადარო?
შენ უბრალოდ, სიყვარულის უკვდავების წყაროო ხარო.

მთქმელი ზ. ეძგვერაძე, კოლმეურნე, სოფელი ნახახულევი, წულუკიძის რაიონი, ჩამწერი ლ. ბახტაძე.

მახვილსიტყვაობა

ყმის ნამდვილი სურვილი

ბატონს ცხვირს დააცემინა, ყმამ გაიგონა და უთხრა: ათას წელიწადს იცოცხლეთ, ჩემო ბატონო.
ატ! — უყვირა ბატონმა, შეუძლებელი რატომ მისურვეო?
ას ოც წელიწადს იცოცხლეთ ბატონო.
ატ! — უყვირა კიდევ ბატონმა.
ასი წელი მისურვებია ბატონო, ასიო.
— ატ! — ისევ გაწყრა ბატონი.
ოთხმოცი წელი, ოთხმოციო.
— ატ! — არ მოიშალა ბატონმა თავისი.
ყმა გაბრაზდა და უთხრა: ღვთის წყალობით, ახლავე სულიც გაგვარდნია, შენი ჭირიმეო.

მთქმელი თეოდორე გოდუაძე, სოფელი პატრიკეთი, წყალტუბოს რაიონი.

მეცხვარის ტრფიალი

ყიზლარისაკენ დაძრული
ფარა გზას მიიკვალავს,
ნოღაეთს მიმეჩქარება,
გემშვიდობები, ქალავ.

გზა დამილოცე ლამაზო,
ხელი მომეცი ჩქარა,
გადმომაყარე ღიმილი
დილის ცისკარის დარად.

რომ ჩემი შრომის ბარაქა
შენს გულს ხალისით რწყავდეს,
ეს ბედნიერი სამშობლო
კვლავ უფრო აგვიყვავდეს.

პირობას გაძლევ, ლამაზო,
შრომაში ვერკინ მჯობდეს,
ჩემი ვაქაცურ სახელით
ქალავ, შენც ამაყობდე.

ავტორი-მთქმელი ვ. ხუცურაული, კოლმეურნე, სოფელი ხორხი, დუშეთის რაიონი.

ნანატრიმც მიცხადდებოდეს

ნანატრიმც მიცხადდებოდეს,
მიდამოს ავამღერებდი,
მოვკრეფდი უკვდავებასა,
ცაში კოშკს ავაშენებდი.
იქ გამყოფებდი, ლამაზო,
დაბლა არ გაგაჩერებდი,
მზე, მთვარე, ვარსკვლავებითა
შენს ოთახს დავამშვენებდი,
დაგიჯდებოდი გვერდითა,
კოცნით არ დაგასვენებდი,
გულმკერდზე დაგადნებოდი,
გულის წყლულს გავამრთელებდი.
საკვებად სიტკბოს მოგცემდი,
სუ ლხინით დაგაბერებდი,
სიყვარულს კონად შევკრავდი
და გულზე დაგაკერებდი.

მთქმელი აბრამ ფეთეკაური, სოფელი ეკეენტი, თიანეთის რაიონი.
ჩამწერი გ. ფეთეკაური.

მთქმელი ს. ჩანგაშვილი, (ახმეტა).

მთქმელი კ. გოგაშვილი, (წითელწყარო).

ორი კაცის მასლაათი

შორ მანძილზე ფეხით მიმავალი ორი კაცი თავს იყოლიებს. მიდიან, მიდიან და გზაში ასეთი გასართობი მასლაათი იმართება:
— ერთი და ერთი.
— ერთი ღმერთი შენც შეგეწიოს და მეც.
— ორი და ორი.
— წავედი მთაში, მოვკალი ირემი და ღორი.
— სამი და სამი.
— სამმა სახარებამ შენც დაგლოცოს და მეც.
— ოთხი და ოთხი.
— ოთხი ფარა ცხვარი მყავდა, ფეხზე წინდა-პაიჭი არ მეცვა.
— ხუთი და ხუთი.
— ხუთი ძმა კაცი იყო, ხუთი უღელი ხარი პყავდაყე, არც ერთმა უღლის გაწევა არ იცოდა, დოუხედნელი პყავდაყე.
— ექვსი და ექვსი.
— ექვსი ძმა კაცი იყო სამი ყოველდღე ნათვლაში დადიოდა, სამი ქორწილში. იცხოვრებდნენ, აბა რა იქნებოდა!
— შვიდი და შვიდი.
— შვიდი ძმა კაცი იყო შვიდი ბიღელი ჰქონდაყე თაგვები და თრითინებ სჭამდნენ ერთმანეთს, შიე არაფერი ჰქონდაყე.
— რვა და რვა.
— რვა კაცის ვალისაგან ღმერთმა შენც დაგიფაროს და მეც.
— გამარჯობა შენი.
— გაგიმარჯოს.
— საიდან მოდიხარ?
— ელურსამეთიდან.
— მერე ზღვაში როგორ გამოხვედი?
— შევჯექი ჩემ რაშზე და გამოვედი.
— უჰ, ის ზღვა კი არა, რუ ყოფილა.
— რუ რავა ყოფილა. გალმიდან რომ ყვავმა ხორცი წამოიღო, შუამდე ვერ მოიტანა.
— ის ყვავი კი არა, ბარხალა ყოფილა.
— ბარხალა რავა ყოფილა. იმან რომ ფრთა გაშალა, სამი სოფელი დაფარა.
— უჰ, ის სამი სოფელი კი არა, სამი კომლი ყოფილა.
— კაცო, სამი კომლი რავა ყოფილა. რომ შევჯექი ჩემ რაშზე, ვუარე, ვუარე და სამ წელიწადს ძლივს შემოვუარე.
— ის რაში კი არა, ჩოჩორი ყოფილა.
— ჩოჩორი რავა ყოფილა. ერთ წელიწადს მარილის ძვირობა იყო. წევედი ტყიბულში, ავკიდე მარილი და ნაქერალას მთაზე კიდო კურდღელი დავაჭერინე.
— ის კურდღელი კი არა, ბოცორა ყოფილა.
— ბოცორა რავა ყოფილა. გავატყავე, ტყავი ბატონს შევუყარე და ჩემთვის საჯუბე დამრჩა.
— ის პატარა ბატონი ყოფილა.
— პატარა რავა ყოფილა. იმის მუხლის თავზე რომ მამალს დაეყოვლა, ხმა ყურამდე არ მისწვდებოდა.
— ის ბატონი ყრუ ყოფილ.
— ყრუ რავა ყოფილა. დედამიწაში ჭიანჭველებს სამართალს აძლევდა.
— თუ ეგ არ იყოს მართალი?
— ჩვენმა მტრებმა არ მოათიონ ზაფხული და არ გაატარონ ზამთარი.

მთქმელი ესაო მაისაშვილი, კოლმეურნე, სოფელი წესი, ამბროლაურის რაიონი.
ჩამწერი ვ. სოხაძე.

ჩემი სიმღერა

გული მიწყრება დროდადრო
ბრძნოგბეგის ბუდედ ქცეული,
ვერ ითმენს ბარად სიმშვიდეს,
მთებში ხეტიალს ჩვეული.

ხან ალელდება ზღვასავით,
ფიქრს შეიტყორცნის ქაფადა,
ხან როგორც მთათა მწვერვალი
მოიჭუფრება სწრაფადა,

და სიზმრად მოველანდები
შავჭუდა და შავნაბადა.
გულო, ნუ იბრძვი სამთოდა!..
ქარს მიეც ჯავრის ფთილები,

თუკი სამშობლო მეძახის,
მის ძუძუს შეეფიჩრები,
სადც ეტკინება, იმ ადგილს
მალამოდ დაეფინები.

ავტორი-მთქმელი რევაზ მანჭარაული, სოფელი ზემო ალვანი.

ძართული არაკები

მთვრალი რას არ იზამს

მთვრალი თაგვი წავიდა ტყეში. იარა, იარა, იბარბაცა და ძალიან რომ დაიღალა, მიბარბაცდა ერთი მუხის ქვეშ, შეძვრა ფოთლებში და დაიძინა. სწორედ ამ მუხის ქვეშ ლომსა და ვეფხვს მოუხდა სამკვდროსასიცოცხლო ჩხუბი. დიდი ომის შემდეგ ორივენი დაიხოცნენ. თაგვს რომ გამოეღვიძა, ფოთლებიდან გამოძვრა და გაიზმორა. მიიხედ-მოიხედა, რა დაინახა მკვდარი ვეფხვი და ლომი, თქვა: მთვრალი კაცი რას არ იზამსო.

ორი ზარმაცი

ორი ზარმაცი თალარის ქვეშ ჩრდილში იწვა და ნებივრობდა. თალარს მწიფე, ქარვისფერი მტევნები ეკიდა. ერთმა ზარმაცმა ინატრა: ნეტავი ის მარცლები პირში ჩამიცვივდესო. მეორემ უთხრა: დაღეჭვა მაინც არ გეზარებაო.

ომში

ერთი კაცი ომში წაიყვანეს, მისცეს თოფი და სხვებთან ერთად საომრად გაგზავნეს. უცებ ტყვიებმა გაუზუზუნეს ყურთან, შეეშინდა და თქვა: ეს ღმერთძაღლები ისე ისერიან, ვინმე შემოკვდებათო.

ჩამწერი გ. ბაკაშვილი, სოფელი საქობო, სიღნაღის რაიონი.

ვაზეგო, ჩემო ვაზეგო!

ვაზეგო, ჩემო ვაზეგო,
მკერდ-ჯიქან მტევნებიანო,
ლოყანაჭორფლი მტევნები
ჩამიჩებრ დაჭენებიანო.

ღვინოო გამხარებელო,
თამადის ლხენაგ ჭკვიანო,
არ ვარგა მარტო ღვინის სმა
სიტყვები თუ არ სჭრიანო!

ქართული სუფრის ლაზათი
არ უნდა დაჭკიანო.
მცვრიანი სუკის მწვადებსა
ზედ ხახვს რო დაჭრიანო,
სტუმარო, ჩქარ-ჩქარ შემოდი,
კარები აჭრიალო.
გზები გვქონდესა თუნდ შარა
და თუნდაც კლდენი ფრიალო,
წაჩუბებულთა კაცთ შორის
გეტრფი მანდილის შრიალო!
ისეთ შაირებს დავძახებ
რომ შეკრთე, შეგაკრიალო!

* * *

ჭიბოაანთ სანდრო მქვიან,
ოთხმოცს გავცდი, ეამსაც არ ვთვლი,
მუდამ მსტვინავ სალამურით
მე ტოროლას ხმა წავართვი.
ბეღურას რო საკენკს ვუყრი,
კინკლაობენ ყვავი, ჩხართვი...

* * *

ირემს მიზდევდა გიგლაი
თეთრ-თეთრას, ნაზ გულისასა,
საყოფლად შეხიზნებულა
კლდეთ შუა ქვაბულისასა,
უბრალოდ ხო არ დაღვრიდა
სისხლს ლამაზ ნადირისასა?
იგია ბატონ-პატრონი
შიგ ჩადგმულ სარკმელისასა.
ფეხს არ მიიღებს უწმინდურს
მომხდურის მტრისა სხვისასა,
ამბავს შავკრეფამ, გავიგეფ
მე ავან-ჩავანისასა.
ურჯულო ვერ ეღირსება
მზის სხივსა ამ ვანისასა!

* * *

მოხუცს უნდა შავი კაბა
და გოგოს კი ჭრელ-ჭრელიო,
განჯინიდან იცინოდეს
გაღვრეული ჭურჭელიო!

ყვარელი და შილდა,
გრემი, ეფისელი...
დილით ყაყაჩოთა
წამწამები სველი,
ოქროსფერი პურის
დაფენილი ველი.
სიხარულის, ტრფობის
მოვქრი მე ფრინველი,
გზაზე ვარდთ მიშლიდა
დედულეთი ჩემი,
ყვარელი და შილდა
გრემი... გრემი.. გრემი!

* * *

მზეში, მზეში, მზეში
შენსკენ გადმოვეშვი...
გეძებე მთვარის ემხი,
ვერ გიპოვე მე შინ!
შენს ხელთ ერთი წამით,
ყვავილთ შევაჩერდი,
ვარდ-ყაყაჩომ ნამით
დაგისველა მკერდი.
ცეცხლს მიუჯექ, შეშრი...
სველი თვალიც გაშრეს.
რამდენია შენში,
სხივე მოკაშკაშე!
კოცნე შენს თვალთ! შეშრეს...
გეძებნე, არ მოგეშვი,
ტრფობით ჩემსა შემშლელს
მზეში, მზეში, მზეში!

მე სიყვარულმა დამკოდა:
გაეჭრილვარ ხევხუვს, ღელიანს
გახვლე გლდანი და მამკოდა,
ღიმილით გასავლელია.
დღეს დავკრეფ ვარდებს, ხვალ — იას,
შეგხვდები გედისყელიანს,
მოვდივარ, მომიხარია,
წამოსვლა ხელსაყრელია!
არ ვუფრთხი ბნელეთს, არც წყვდიადს
ტრფობის ზარ-ეკენის წკარუნო,
ეგ ტუჩებია? მარწყვია?
როდისღა ჩავიტკბარუნო!
დაგვთმოს შავ ბედმა, ავ ჭვალმა,
გამოვცდი ხევხუვს, ღელიანს
გლდანი, მამკოდა, ავჭალა
ტრფიალით გასავლელია!
მზეს რომ თვის ლაქა ეფონა,
თურმე მაგ ყელის ხალია,
სული სულს გადაეკონა,
მოვდივარ, მომიხარია!
რომ კვნესის შენი დამპყრობი,
სტვირად ქცეული ღელია.
ო, გამიგრძელდეს გზა ტრფობის
— ტრფიალით გასავლელია!

ავტორი-მთქმელი ს. ჟიგოშვილი, დაბა ყვარელი.
ჩამწერი ი. ჟიგოშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისი.

მშვიდობით, მთეგო!

რამ დამავიწყოს ის დღე, ის წუთი,
გულნაკლულობას ვგრძნობ მე იმ
დღიდან,
მხარზე ხურჯინით, წელხანჯლიანი
ვიწრო ბილიკით დავეშვი მთიდან.

ნამეხარ კლდეზე ნისლი ბოლავდა,
ცის კიდურს აჩნდა ნაკაწრი ელვის,
ხეებს ებრძოდა ქარი-აშარი;
სადღაც მშიერი ღმუოდა მგელი.

ნანადირევთან ჰყეფდა არწივი,
სვავებს თვალებით ეომებოდა.
უბით მიჰქონდა მგელს მწყემსის ტყვია,
დალლილ-დაჭრილი გზებზე წვებოდა.
ნასტყვი მიწა ფეხქვეშ ცურავდა
ღვარს დაეხრამა ბილიკნი, გზანი,
სერს ორი ჯიხვი გადევლო უცებ —
შემომტვრევოდათ ბრძოლაში რქანი.
მშვიდობით მთებო, თუმცა დროებით
გტოვებთ და მაინც თქვენთან ვიქნები,
ჩემი ოცნებით, ჩემი ლექსებით,
ჩემი გულით და ჩემი ფიქრებით.

ავტორი-მთქმელი რევაზ მანჭარაული, სოფელი ზემო ალვანი.

მოჩუხჩუხებს ჩვენი ფოსტა
სიგრძნის წყარო

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად იციან, რომ 19 იანვარს დაიწყო ფოლკლორულ-შემკრებლობითი ლაშქრობა. ამ დიდ კულტურულ წამოწყებას ფართოდ გამოეხმაურა საზოგადოებრიობა. მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენციის წარმომადგენლები კმაყოფილებას გამოთქვამენ და ყოველდღე გვიგზავნიან ახალ-ახალ ჩანაწერებს.

„სიხარულით ვუერთდები ფოლკლორულ-შემკრებლობითს ლაშქრობას და ყოველი ღონისძიებით შეეცდები შევკრიბო ხალხური ლექსები, სიმღერები, თქმულებები, ანდაზები, ზღაპრები და გამოცანები“, — სწერდა რედაქციას მეორე დღესვე თიანეთიდან სახალხო მასწავლებელი ნ. ჭუნიაშვილი.

„ძვირფასო მეგობრებო, მეც მსურს ჩავება იმ დიდ ფერხულში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ადამიანები“, — იტყობინებოდა 20 იანვარს ბ. ქებაძე ცხრაწყაროდან (ზესტაფონის რ.).

ასევე მხურვალე ბარათი გამოგზავნა 60 წლის დიასახლისმა ვარო ბაქრაძემ სოფ. აწყურიდან (ახალციხის რ.) და თან ნაწერები მოაყოლა.

კითხულობთ ლაშქრობის სახელზე მოსულ წერილებს, შეკითხვებს, ზეპირსიტყვაობის ტექსტებს და გრძნობთ, რა სიყვარული ღვივის ხალხში თავისი ეროვნული საუნჯის მიმართ. საკმაო გახდა გარკვეული გზის ჩვენება, საქმიანი მოწოდება, და რესპუბლიკის ყველა რაიონში გამოჩნდნენ ფოლკლორისტი-ენთუზიასტები, მთქმელი-პატრიოტები.

აქ საშუალება არ არის მოვიყვანოთ შეგხვნილი ლამაზი გულწრფელი სიტყვები ლაშქრობის გამო შემოსული წერილებისა. რომელთა ავტორები არიან — ე. სამნიაშვილი (ზესტაფონი), მ. ჩაგუნავა (სოხუმი), ლ. ბიწაძე (წალენჯიხა), მ. ბუაძე (თბილისი), ი. თუშიშვილი (თბილისი), გ. ჩოქური (თბილისი), ალ. არახამია (ჩხოროწყუ), თ. ცეცხლაძე (ქ. მახარაძე), ნ. გამგონიძე (თბილისი), შ. მახარაშვილი (თბილისი), ი. ნავროზაშვილი (თბილისი), ნ. ყორღანიშვილი (ანაგა, სიღნაღის რ.), მ. ქოქოშვილი (გორი), ბ. ქარცივაძე (ბათუმი), ე. ბალავაძე (თბილისი), ბ. მიქელაშვილი (რუსთავი), ა. ბეღიაშვილი (საგარეჯო), გ. ჭრელაშვილი (თბილისი), ნ. მერაბიშვილი (თბილისი), 1934-36 წწ. შოთას კულტურული ლაშქრობის მონაწილე არ. ქოიავა (გაგრა); მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ჭიბოშვილი (თბილისი), ა. გიორგაძე (ვანი), ს. ერიაშვილი (სიღნაღი), ბ. მათითაშვილი (სოხუმი), ა. ადეიშვილი (თელავი), სტუდენტი რ. მანჭარაული და მრავალი სხვა.

ვფიქრობთ ყველას აზრს გამოხატავს ომის მონაწილე, 67 წლის ილია გელაშვილი, რომელიც მის მიერ გამოგზავნილი ტექსტების ბოლოს წერს: „მიყვარს ჩემი ძვირფასი სამშობლო, რისთვისაც ვადიდებ და ვაქებ იმ შვილებს, ვინც სამშობლოსთვის იღწვის. ფოლკლორის შეკრება ძვირფასი საგანძურია ისტორიისათვის“.

საქართველოს ყველა კუთხეში შემკრებ-ენთუზიასტები ახლა გულმოდგინედ სწავლობენ თავიანთ სოფლებსა და უბნებს, რომ დროულად გამოავლინონ ზეპირსიტყვიერების ოსტატები და შეუდგნენ მათი ცოდნის ჩაწერას.

საგურამოს ი. ჭავჭავაძის სახელობის სკოლის მოსწავლე მ. სართანიამ 78 წლის მ. სახვაძე-გველესიანისაგან ჩაწერა 20 ხალხური ნაწარმოები, იქვე ლიზა ცაგარელ-სოსელიასაგან მიიღო 8 საინტერესო ტექსტი, ხოლო 72 წლის პელო ლაბაურმა 10 გამოცანა უკარნახა. საერთოდ ამ ნორჩ ფოლკლორისტს 140-ზე მეტი ნიმუშის შეკრება და გადათეთრება მოუსწრია. თიანეთის რაიონის სოფ. ღულელების სკოლის მოსწავლეებს ჯ. ბურდულსა და ბ. ჭინჭარაულს სპორტული სიტყვიერების შეგროვება განუზრახავთ, საიდანაც ჩანს, რომ ისინი ფეხბურთის მოყვარულნი არიან. წითელწყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძეში გალ. ბეგია თავისი მოხუცი ნათესავების რეპერტუარს იწერს; სოფ. მარტყოფიდან ქ. ხმალაძე ახალ გამოცანებს გზავნის; ცხინვალის მე-4 საშ. სკოლის დამამთავრებელი კლასის მოწაფე ი. ყეზერაშვილი აფორიზმებსა და ზღაპრებს გვთავაზობს, მაგრამ ტექსტების ცალ გვერდზე გადაწერა დავიწყუბია.

ზუგდიდის რაიონის სოფ. ორჯონიკიძის საშ. სკოლის მოსწავლეებს აინტერესებთ, როგორ შეკრიბონ მეგრული ფოლკლორი. ამ შემთხვევაში მათ შეუძლიათ იმუშაონ ისე, როგორც რ. ბალათურია (ცხაკაიას რ., სოფ. ზემო ჭალადიდი), არისტარხე ქოიავა (გაგრა) და შ. გოგია (ხუნწი, გეგეჭკორის რ.) მუშაობენ. ისინი მეგრულ ტექსტს ქართულ თარგმანს ურთავენ. დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის უკანასკნელი კურსის სტუდენტი პ. ბაიაშვილი (თიანეთის რ. ს. ჩეკურაანთ გორი) უცხოელ კლასიკოსთა აფორიზმებს გვაწვდის, ჩვენ კი მის ყურადღებას ადგილობრივ ბრძნულ გამოთქმებს მივაქცევთ; ახმეტიდან ალვანელმა ნ. აზიკუოშმა პირველ რიგში საკუთარი ლექსები გამოგზავნა, სასურველი კი იყო შესადარებლად მის მიერ შეკრებილი ხალხური ლექსებიც გვენახა. მშვენიერ ნიმუშს იმავე სოფლის მცხოვრები ლ. იმედიძე იძლევა.

ფოლკლორულ-შემკრებლობითმა მოძრაობამ აამოქმედა ლიტერატურული თვითმოქმედების წარმომადგენლები. თავიანთ შემოქმედებას ისინი, უმეტესად პოეზიას, ზეპირსიტყვიერებას უკავშირებენ. ლაშქრობის მომწყობნი უყურადღებოდ არ ტოვებენ ინდივიდუალურ ლექსებს, მაგრამ ვერ გაიზიარებენ იმგვარ პრაქტიკას, როცა ზოგჯერ მთქმელის სახელით საკუთარს, ხალხში გაუვრცელებელსა და უცნობ ნაწარმოებებს გვაწვდიან. საკუთარი ლექსის ქვეშ ყოველთვის უნდა დაიწეროს არა „მთქმელი“, არამედ „ავტორი-მთქმელი“, როგორც ეს ლაშქრობის მონაწილეების დასახმარებოდა გამოქვეყნებულ რჩევაშია ღონიშნული (იხ. „კომუნისტი“, 21 იანვარი: „როგორ შევკრიბოთ ზეპირსიტყვიერება“).

ავტორ-მთქმელის დასახელების დროს ინფორმატორს ზეპირად გავრცელებული ნიმუშების ავტორობა არ უნდა მივაწეროთ. მაგალითად, ახალ თერჯოლაში გ. გაბრიჩიძეს 100 წლის მოხუც ეფრ. ჯაშიაშვილისაგან მოუსმენია გამოცანები: „ავხადე ფირფიტელასა, ჩავხედე გულწითელასა“ (ღვინო), „ცოცხალი ბალახს ჭამს, მოკვდება ღვინოს სვამს“ (ტიკი) და სხვ. მსგავსი გამოცანები დიდი ხანია შეკრებილია და ჯაშიაშვილი ამ შემთხვევაში მხოლოდ მთქმელია.

ლიტერატურული თვითმოქმედება მასობრივი ხელოვნების ნაწილია. შეიძლება ითქვას — იგი მომავლის ფოლკლორიც არის. ამის გამო სასურველია მისი გეგმაზომიერი შეკრება და შესწავლა. ლაშქრობის მონაწილენი ზმირად გზავნიან ამგვარ მასალას.

საინტერესო საკუთარი ნაწარმოებები გამოგზავნეს ამბროლაურის რაიონის სოფ. ლიხეთიდან ავთ. ჯაფარიძემ, გუმათაჰესიდან ტექნიკოსმა ც. პაპიაშვილმა, თბილისის პირველი ავტოშემკეთებელი ქარხნის მუშამ სამსონ რუხაძემ, გორის ბამბის ქსოვილების კომბინატის ოსტატმა ვ. გოლოშვილმა, ე. იაკობაშვილმა (სახნერის რ., ჩიხა), ა. ბურჭულაძემ (შემოქმედი), ვ. ხუცურაულმა (დუშეთის რ., ხორხი), ა. შინჯიკაშვილმა (ტიბაანი), ლ. მამეიშვილმა (ბახვი), ს. ლომჯარიამ (ქანიეთი), ვ. მახხულიამ (ძრმითი), მ. ნასყიდაშვილმა (მცხეთა) და სხვა.

გუნდიბსა და თვითმოქმედ წრეებში ჩაბმულმა პირებმა პირველ ყოვლისა კოლექტიური რეპერტუარი უნდა შეკრიბონ და მერე თან დაურთონ მათ მიერ შეთხზული ის ნაწარმოებები, რომლებიც უკვე გავიდა ხალხში (მოუთხრობენ ან ასრულებენ სიმღერით, მუსიკალური აკომპანიმენტით) და ზეპირ ბრუნვაში იმყოფება. ჩანაწერთა შორის ბევრია მახვილსიტყვაობის, შრომის პოეზიის, პროზის ნიმუშები, აგრეთვე თქმულებები ადგილობრივ ბრძოლებზე, ისტორიულ ძეგლებსა და გეოგრაფიულ სახელებზე, სამამულო ომის ეპიზოდებზე და სხვ.

ლაშქრობამ ბევრს ოჯახებში დაცული რვეულებიც მოაგონა; ბაჯელი (ამბროლაურის რ.) დიასახლისი ე. ქარაზანიშვილი გვიგზავნის რვეულუცაამდელ თხზულებებს. მსგავს შემთხვევაში შემკრებ-ენთუზიასტმა მხატვრული ტექნიკა უნდა აწარმოოს.

საბჭოთა არმიის რიგებში მყოფი ჯარისკაცები სხვადასხვა ადგილებიდან გზავნიან საკუთარ ჩანაწერებს, ასეთებია: ი. ნემსიწვერიძე, ფ. ჯიოევი, მ. ქვარაია, ზ. მაღრაძე და სხვ. სასურველია ჯარისკაცებმა მეტი ყურადღება მიაქციონ მათ წრეში გავრცელებულ სიმღერებს, ზეპირსიტყვიერ ჟანრებს.

ჩამწერთა აბსოლუტური უმრავლესობა ზუსტად უჩვენებს ცნობებს მთქმელსა და შემკრებზე, მაგრამ არის საპირისპირო შემთხვევებიც. ლაშქრობის დებულების დაცვა ამ ნაწილშიც სავალდებულოა.

ლაშქრობის სახელზე შემოსული ტექსტები და წერილები მომავალში დაცულ იქნება რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში. ამის გამო ჩანაწერები უკან არავის დაუბრუნდება, როგორც ამას მოითხოვს, მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის ს. ჩოჩხათის მცხოვრები ნიკო მგელაძე.

ადგილობრივი პრესის მუშაკებიც თანდათან ირაზმებიან მარადსახსოვარი ოქროს საწმისის შესაქმნელად. ამის ნიმუშია ამბროლაურის რაიონული გაზეთის რედაქციის თანამშრომლის ვ. სოხაძის მიერ გადმოგზავნილი გაბაასებანი, მაგრამ სასურველია იგი ერთი ჟანრით არ შემოიფარგლოს.

ასეთია ფოლკლორულ-შემკრებლობითი ლაშქრობის ფოსტის მოკლე მიმოხილვა.

ამჟამად მიმდინარეობს მხატვრული ტექსტების შერჩევა, (რომელთა რაოდენობა თებერვლისათვის იყო 1.506), და უახლოეს ხანს გამოსაქვეყნებლად მომზადება.

მერცხალს

გადმომავალო მერცხალო,
გადაიარე მთები.
იარე, გადაიარე
შირაქის მინდორ-წყლები.

მიბრუნდი ჩემსა მოყმესთან
და ჩამაართვი ხელი.
თან სიტყვა შემოუთვალე,
მშვიდობა უთხარ ჩემი.

მიყვარხარ გიჟო, მიყვარხარ,
მიყვარხარ, მეყვარები.
თვალები წყლებით მევსება,
მე შენი შემცქერლები.

ვფრთხილობ რამ დამართებასა,
უშენოდ გაეგზეკები.
შენ უნდა ჩემად გიგულო,
მე შენი შეეიქნები.

წყალი სჯობს

გემოთ სასმელად წყალი სჯობს
შავ არაყს, წითელ ღვინოსა,
ტანზე საცმელად ჩოხა სჯობს
კლაასა — მაუდსა — ტილოსა.

ვაუკაცისადა ცოლი სჯობს,
თუ მოპყავს თავის კილოსა.
ვაუკაცის ცოლი არას იქმს
ცუდსა და სათაკილოსა.

მთქმელი ლ. იმედიძე.

ხალხური გამოცანები

თეთრი კაცი თეთრ ცხენზედა...
თეთრი თოქალთო უგია,
ამხანაგს არა კადრულობს,
ცუდი ზნე შემოუღია.

(თოვლი)

ჩამწერი ბ. მრელაშვილი, სოფელი იყალთო, თელავის რაიონი.

□

ჩვენსა ექიმი მოვიდა
ჰინდურ-ფანდურა ენითა.
სისხლის წვეთები წაიღო,
ზღვაში წავიდა გემითა.

(ფურგელა)

ჩამწერი დ. ბიწკინაშვილი, სოფელი შაშიანი, გურჯაანის რაიონი.

□

დედასა შვილი მოვტაცე
და მივაბარე ეულსა.
შევკარი, შევაქუჩუჩე,
თავი მიუგავს სნეულსა.

(ნამყენი)

ჩამწერი ბ. ბაბრიჩიძე, სოფელი ახალი თერჯოლა, თერჯოლის რაიონი.

□

თვისა და თვისა თავზედა
ნიყვი ამოდის მთაზედა.

(მთვარე)

ჩამწერი მ. ბრეგვაძე, ქ. სოხუმი.

ჩემ ცხენო

ცხენო, პატრონიმც გენაცვლე,
შავარდენს გიგავს თვალები.
ოთხითავ დანალული ხარ,
ფეხს გაქვს მოწყობილ ნალები.
დოღში წინაწინ მიმიხვალ,
ხედვად გამოვლენ ქალები.

მთქმელი ლ. იმედიძე.



სოფლიონში მოიტანეს

სოფლიონში მოიტანეს
კურის სარჩე მაშინაო,
ყველამ იმით დაარჩია
სათესლე და საშინაო;
ჩემ დედაკაცმ გადაადგო
ცხავი, ცხრილი, ტაბაკია,
ყველა იმას იძახოდა
— რა კარგია, რა კარგია!

მთქმელი ანა ბაიდაური, სოფელი ეკეენტი, თიანეთის რაიონი.
ჩამწერი ბ. ფეთეკაური.

მართლაც და ზღვასავით ფართოა ხალხის გული, ათასი აუკინძავი მარგალიტი იმალება ამ გულში...

ჩონგურო, ჩემო ჩონგურო, თუთის ხისაგან გამოგთლილ და ყველაზე ლამაზ სიტყვას მივუძღვნი ჩემს საყვარელ სამშობლო ქვეყანას, ნათქვამია არაერთ ხალხურ ლექსში, საუკუნეთა მანძილზე რომ შეუქმნიათ ჩვენს წინაპრებს. მშრომელი კაცი თავისი ხელით ამზადებდა ჩანგსაც და გუთანსაც, აკვანსაც და ხმალსაც. სიყვარულს აქსოვდა ყოველ თავის ნახელავში, გამძლეობასა და სიყვარულს. ამ სიყვარულმა ააღებინა ხელში ზუგდიდელ კაპიტონ ცანავასაც ხე, რომელიც ჩანგად და ფანდურად აქცია.

კაპიტონ ცანავას მიერ დამზადებული ხალხური მუსიკალური საკრავების დიდი ნაწილი ამჟამად საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლში ინახება. ამ სურათზეც სწორედ ეს საკრავებია აღბეჭდილი.

რედაქტორი
დ. მგელიშვილი.